საპარლამენტო
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 257 (536) პარასკევი, 18 დეკემბერი, 1992 წელი ფასი 2 მანეთი

საქართველოს პარლამენტის განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და ანიჭებს საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობას, სამართლიანად მიიჩნევს რა ამას სტაბილურობის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად დღევანდელი მსოფლიოსათვის უმნიშვნელოვანეს კავკასიის რეგიონში.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა საკმაოდ საფუძვლიანი განსხვავებული მოსაზრებებიც, საქართველოს ხელმძღვანელობამ აირჩია რუსეთთან ურთიერთნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობის კურსი. ამის ნათელი მაგალითია ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის სამმხრივი სამშვიდობო ძალებით მოგვარებისა და აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური გზით გადაწყვეტის ცდა, რამაც ასახვა პოვა მოსკოვის 3 სექტემბრის მოლაპარაკების შედეგად მიღებულ დოკუმენტში. სამწუხაროდ, ქართული მხარის ამ ინიციატივებმა სასურველ შედეგებამდე ვერ მიგვიყვანა. მიუხედავად იმისა, რომ 3 სექტემბრის შეთანხმებას ხელს რუსეთის პრეზიდენტი აწერდა, მას მოჰყვა რუსეთის უზენაესი საბჭოს მიერ საქართველოს საშინაო საქმეებში უხეში ჩარევა, რაც გამოიხატა 1992 წლის სექტემბრის უპრეცედენტო გადაწყვეტილებებით და უმაღლეს ოფიციალურ პირთა მრავალი განცხადებით, რითაც ფაქტობრივად სანქცირებულ იქნა გაგრა-ლესელიძის ტრაგედია. ამ ტრაგედიამ მშვიდობიანი ქართული მოსახლეობის მასობრივი დახვრეტის და ეთნიკური წმენდის პოლიტიკით ცხადყო, რომ შეიარაღებული აფხაზი სეპარატისტები რუსეთის რეაქციულ ძალებთან ერთად აშკარად დაადგნენ საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის ძალისმიერ გზას.

ძალადობის პოლიტიკას ვერ გაამართლებს განცხადებები რუსულენოვანი მოსახლეობის დაცვის შესახებ. რუსულენოვან მოსახლეობას საქართველოში საომარ ვითარებაშიც კი არაფერი არ ემუქრება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში თვით რუსი სამხედროების მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვას, რასაც მოჰყვა სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა მსხვერპლი, ხოლო 60000-ზე მეტი ლტოლვილი გახიზნულია საქართველოს მრავალ ქალაქსა და სოფელში.

საქართველოს მხარეს გააჩნია უამრავი ფაქტი, რომელიც მოწმობს რუსეთის შეიარაღებული ძალების უშუალო მონაწილეობას ამ კონფლიქტში ექსტრემისტ-სეპარატისტთა მხარეს. მოვიყვანთ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს:

ამა წლის 2 და 9 დეკემბერს რუსეთის არმიის უშუალო მონაწილეობით დაიბომბა სოხუმისა და მისი შემოგარენის საცხოვრებელი კვარტალები. პირდაპირი დამიზნებით ჭურვები დაუშინეს სოხუმის ბაზრის ტერიტორიას, რასაც მოჰყვა სრულიად უდანაშაულო 18 სამოქალაქო პირის, მათ შორის რუსი ეროვნების მოქალაქეთა მსხვერპლი.

5 ოქტომბერს რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა ჩამოაგდეს საქართველოს შეიარაღებული ძალების ვერტმფრენი მი-24;

18 ოქტომბერს ქვემო ეშერაში ჩამოგდებულ იქნა სუ-25 ტიპის საქართველოს თვითმფრინავი;

5 ნოემბერს 17 საათსა და 40 წუთზე რუსეთის სუ-25 ტიპის ორმა თვითმფრინავმა ცეცხლი დაუშინა ქართულ ბატალიონს მდინარე გუმისთასთან;

15 ნოემბერს 18 საათსა და 45 წუთზე განხორციელდა საავიაციო თავდასხმა მდინარე გუმისთაზე განლაგებული საქართველოს საჯარისო ნაწილებსა და სამხედრო პოლიციის პოზიციებზე;

18 ნოემბერს 18 საათსა და 15 წუთზე დასახლებულ პუნქტ კოლასურზე საჰაერო თავდასხმის შედეგად დაიღუპა მშვიდობიანი მოსახლეობა;

5 დეკემბერს 18 საათზე სუ-25 ტიპის ორი თვითმფრინავით განხორციელდა საჰაერო დარტყმები მდინარე გუმისთასთან განლაგებულ საქართველოს შეიარაღებული ძალების ნაწილებსა და დასახლებულ პუნქტ ცხენისწყალზე;

10 დეკემბერს რუსეთის ავიაციამ დაბომბა ოჩამჩირის რაიონის სოფელი ახალდაბა, სადაც არავითარი საომარი ოპერაციები არ მიმდინარეობდა. თავდასხმის შედეგად დაიღუპა 11 მოქალაქე.

აღარაფერს ვამბობთ ამა წლის ოქტომბრის თვეში სახელმწიფოს მეთაურის ვერტმფრენზე გახმაურებული თავდასხმის ფაქტის შესახებ.

თუმცა ა. წ. ნოემბრის ბოლოს მიღწეულ იქნა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე, რომელსაც ქართული მხარე განუხრელად იცავდა და, რომლის თანახმადაც, რუსეთის შეიარაღებულ ძალებს უნდა დაეტოვებინათ ქალაქი სოხუმი და მისი მიმდებარე ტერიტორია, ეშერის ყოფილ სამხედრო ლაბორატორიაში დღემდე იმყოფებიან რუსი მედესანტეები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ საბრძოლო მოქმედებებში. მედესანტეებს არც ქალაქი სოხუმი დაუტოვებიათ.

სწორედ ეშერის ლაბორატორიის ტერიტორიიდან დაიბომბა სოხუმის ბაზარი.

კონფლიქტის ზონის საზღვაო თუ საჰაერო სივრცეში რუსეთის სამხედრო-საჰაერო და საზღვაო ძალები ბატონობენ, რამაც განაპირობა ამ რეგიონში დიდძალი კონტრაბანდული იარაღის შემოტანა. ყოველივე ეს უხეშად არღვევს როგორც საერთაშორისო, ისე საქართველოს კანონმდებლობის ელემენტარულ მოთხოვნებს.

ქართულმა მხარემ არაერთგზის განაცხადა და დღესაც ადასტურებს, რომ ის ხელს არ შეუშლის ტყვარჩელში ჰუმანიტარული ტვირთების გადაზიდვას მათი სოხუმის აეროპორტში შემოწმების შემდეგ, რადგან გუდაუთიდან რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალთა უშუალო მონაწილეობით სისტემატურად ხდება იარაღის, საბრძოლო მასალისა თუ შეიარაღებულ დაქირავებულთა გადაყვანა. ეს მოთხოვნა სისტემატურად ირღვევა, ამიტომ მთელი პასუხისმგებლობა დატრიალებული ტრაგედიისათვის, რაც რუსეთის სამხედრო შვეულმფრენის მი-8-ს კატასტროფას მოჰყვა, მეორე მხარეს ეკისრება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ შემთხვევის ადგილი ოც კილომეტრზე მეტით არის დაშორებული იმ ზონიდან, რომელსაც ქართული მხარე აკონტროლებს.

სრულიად აშკარაა, რომ აფხაზეთში დისლოცირებული რუსეთის შეიარაღებული ძალები გადაიქცნენ კონფლიქტში მონაწილე მხარედ, რომლებიც მათ მიერ შეიარაღებულ სეპარატისტებსა და რუსეთის რეაქციულ პოლიტიკურ წრეებთან ერთად ახორციელებენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის იმპერიულ პოლიტიკას. ეს სამხედრო შენაერთები არ ექვემდებარებიან თვით ყოფილი ამიერკავკასიის ოლქის სარდლობასაც კი, რომელთანაც მთელ რიგ წინააღმდეგობათა მიუხედავად ქართული მხარე ინარჩუნებს და კვლავაც ეცდება შეინარჩუნოს ცივილიზებული ურთიერთობა.

რუსეთმა წესად აქცია ყველა შემთხვევაში საქართველოს დადანაშაულება, ხშირად კი საკუთარ დანაშაულთა ჩვენზე გადმობრალება. ვფიქრობთ, რომ საქართველოს პარლამენტის ამ განცხადებასაც მსგავსი რეაქცია მოჰყვება. უფრო მეტიც, რუსეთის ხელისუფლების ზოგიერთი მაღალი რანგის ოფიციალური პირი აფხაზეთში განლაგებულ რუსეთის ჯარის ნაწილებს საქართველოს მხარესთან შეუთანხმებლად ანიჭებს სამშვიდობო ჯარების სტატუსს და იმავდროულად მაღალი ტრიბუნიდან უაპელაციოდ იმუქრება ამ ჯარის გამოყენებით საქართველოს წინააღმდეგ, ავიწყდება რა, რომ ეს ნაწილები დაუპატიჟებლად იმყოფებიან სუვერენული ქვეყნის ტერიტორიაზე, რომ არა აფხაზეთში დისლოცირებული რუსეთის არმიის ნაწილების პირდაპირი ჩარევა საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ, რუსეთის მოქალაქეთა მასობრივი მონაწილეობა სეპარატისტთა საჯარისო ფორმირებებში, ქართველთა და აფხაზთა სამშვიდობო მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდებოდა და კონფლიქტისა და მსხვერპლის მასშტაბიც გაცილებით ნაკლები იქნებოდა.

დღევანდელ მძიმე სიტუაციაშიც კი აფხაზეთის დედაქალაქ სოხუმში აქტიურად ფუნქციონირებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, რომელშიც შედიან ქართველი, აფხაზი, რუსი, სომეხი და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები.

მდგომარეობას მკვეთრად ამწვავებს რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ გარკვეული წრეების ინტერესებს უპასუხებს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შემდგომი ესკალაცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტი მოითხოვს, რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა დაუყოვნებლივ დატოვონ კონფლიქტის რეგიონი.

რუსეთ-საქართველოს ბოლოდროინდელი ურთიერთობანი თვალნათლივ მოწმობს, რომ იზრდება აგრესიული ფაქტორი რუსეთის პოლიტიკაში, რაც საფრთხეს უქმნის სტაბილურობას არა მარტო კავკასიაში, არამედ მთელ მსოფლიოში. სწორედ ამ ტენდენციების განვითარებას ადასტურებს რუსეთის სახალხო დეპუტატთა მეშვიდე ყრილობის ბატალიები და ამავე ყრილობის მიმართვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების პარლამენტებისადმი ახალი კონფედერაციის შექმნის მოწოდებით.

რუსეთში ამ პოლიტიკურ განწყობილებათა გამარჯვების შემთხვევაში, კიდევ უფრო გაძლიერდება ძალისმიერი მეთოდებით იმპერიის ხელახალი შეკოწიწების მცდელობა. რუსული იმპერიული პოლიტიკის მსგავს რეციდივებს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აშკარად აქვს ადგილი საქართველოს სახელმწიფოსთან მიმართებაში. მსოფლიოსათვის ამ ერთობ სახიფათო პოლიტიკური კურსის განვითარების რეალურ საშიშროებაზე მეტყველებს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის გახმაურებული გამოსვლაც სტოკჰოლმში ევროთათბირის პლენარულ სხდომაზე ა. წ. 14 დეკემბერს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის მხარე ხელშეკრულებათა პაკეტის მომზადებისას, სარგებლობს რა საქართველოში არსებული რთული ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობით, ცდილობს მოლაპარაკება აწარმოოს ძალის პოზიციებიდან. იგი იგნორირებას უკეთებს ჩვენი ქვეყნის ინტერესებისათვის ისეთ უაღრესად მნიშვნელოვან მომენტებს, როგორიცაა საქართველოს კუთვნილი ქონების გადმოცემის და რუსეთის შეიარაღებული ძალების საქართველოს ტერიტორიაზე დროებითი ყოფნისა და გასვლის ვადების საკითხები.

შექმნილ ვითარებაში, როცა საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევამ მიიღო უპრეცედენტო ხასიათი, ამავე დროს მოსკოვში რეალური შედეგების გარეშე დამთავრდა საქართველოსა და რუსეთს შორის მოლაპარაკების მეორე რაუნდი, პარლამენტს პრობლემატურად მიაჩნია მოლაპარაკების გაგრძელება.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტი მოგვიანებით დაუბრუნდება რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკების გაგრძელების მიზანშეწონილობის საკითხს საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისა და მისი ტერიტორიული მთლიანობის მიმართ რუსეთის ხელისუფალთა დამოკიდებულების გათვალისწინებით.

ორ სახელმწიფოს შორის კეთილმეზობლური დამოკიდებულების მშენებლობის უმნიშვნელოვანესი პირობა იქნება რუსეთის მხრივ მისი ტერიტორიიდან საქართველოს წინააღმდეგ მიმართული აგრესიის დაუყოვნებლივ შეწყვეტა.

თბილისი, 1992 წლის 17 დეკემბერი.

ნომერში

⊙ სოხუმში პენსიებს მაინც დაარიგებენ. 2
⊙ ქართველი ფეხბურთელები კვიპროსზე ივარჯიშებენ. 3

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის
მიმართვა
საქართველოს მოსახლეობისადმი

ძვირფასო თანამემამულენო!

ჩვენი სამშობლოსათვის ამ უკიდურესად მძიმე განსაცდელის ჟამს; როცა საქართველოში ომია და როცა მშვიდობიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი დაუცველი რჩება შეიარაღებულ პირთა თარეშისაგან, როცა წყდება ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, ყოფნა-არყოფნის საკითხი, მთელი ქართველი ხალხის ბედი, რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი მოგმართავთ თქვენ და იმედი აქვს თქვენი ერთსულოვანი მხარდაჭერის და თანადგომისა.

საქართველოს შეიარაღებული ძალები დღეს საბრძოლო იარაღისა და მასალების ქრონიკულ ნაკლებობას განიცდიან. ამავე დროს მოსახლეობაში თავმოყრილია დიდძალი აღურიცხავი უკანონო საბრძოლო იარაღი.

სულ მალე, სათანადო დირექტიული ორგანოების განკარგულებით, დაიწყება მოსახლეობისაგან უკანონო იარაღის მასობრივი ამოღება.

ამასთან დაკავშირებით გთხოვთ გამოიჩინოთ კეთილგონიერება, მამულიშვილური გრძნობები, მაღალი შეგნებულობა და ჩაგვაბაროთ საბრძოლო იარაღი, რომელსაც ხელისუფლება გამოისყიდის ამჟამად არსებული ღირებულების მთლიანად და დაუყოვნებლივ ანაზღაურებით. ვიძლევით სრულ გარანტიას, რომ დაცული იქნება იარაღის მფლობელთა ანონიმურობა და საერთოდ არ დადგება იარაღის ნებაყოფლობით ჩამბარებელთათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის საკითხი.

თქვენი ამ ჭეშმარიტად ეროვნული, პატრიოტული მოვალეობის შესრულებისათვის გთხოვთ მიმართოთ რაიონის ან ქალაქის გამგეობას იარაღის ჩაბარების თაობაზე 1992 წლის 20 დეკემბრიდან.

ღმერთი იყოს ჩვენი შემწე.

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტი.
ქ. თბილისი.
1992 წლის 16 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
პარტიული სიებით არჩეული გამოკლებული დეპუტატების ადგილმონაცვლეთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ

საქართველოს პარლამენტი, რომელმაც მოისმინა სამანდატო, დეპუტატის ეთიკისა და პრივილეგიების კომისიის წარდგინება ადგენს:

შეუწყდეს უფლებამოსილება ბლოკი „ერთობიდან" არჩეულ პარლამენტის წევრს კონსტანტინე სალიას საქართველოს რესპუბლიკის ტურიზმის კომიტეტის თავმჯდომარედ დამტკიცებასთან დაკავშირებით. ცნობილ იქნეს მისი ადგილმონაცვლის გენო კალანდიას უფლებამოსილება.

შეუწყდეს უფლებამოსილება ბლოკ „მშვიდობიდან" საკომპენსაციო სიით არჩეულ პარლამენტის წევრს ავთანდილ მარგიანს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილედ დამტკიცებასთან დაკავშირებით. ცნობილ იქნეს მისი ადგილმონაცვლის ალექსანდრე ჭიბლაძის უფლებამოსილება.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვ. გოგუაძე.

თბილისი, 1992 წლის 17 დეკემბერი.

მოიწონეს საქართველოსთან თანამშრომლობის სტრატეგია

ლონდონი, 17 დეკემბერი. (იტარ-საქდესი). ბრიტანეთის დედაქალაქში მდებარე ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა, რომელიც შექმნილია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ხელშეწყობისათვის, გამგეობის სხდომაზე მოიწონა საქართველოსთან თანამშრომლობის სტრატეგია. იგი ჩამოყალიბებულია ამ ქვეყანაში შექმნილი მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების საფუძველზე და ითვალისწინებს ტექნიკური დახმარების გაწევას, ცალკეული პროექტების დაფინანსებას, რომლებიც გადამწყვეტ როლს ასრულებენ ეკონომიკის სტაბილიზაციისათვის.

როგორც ბანკის პრეზიდენტმა ჟაკ ატალიმ განაცხადა, მიმდინარე ფასების ლიბერალიზაციით, ბინებარი შინაგანი კონფლიქტების ფონზე საქართველომ ცხადყო ერთგულება ვალდებულებებისადმი იაროს დემოკრატიული რეფორმების გზით, რაც, კერძოდ, გამოიხატა დემოკრატიული არჩევნების მოწყობით. არახელსაყრელი ეკონომიკური ფაქტორების მიუხედავად, აღნიშნა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ხელმძღვანელმა, საქართველოს მთავრობამ განახორციელა მთელი რიგი რეფორმები, რაც გამოიხატა ფასებისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების პრივატიზაციით.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მხრივ საქართველოსადმი დახმარების სტრატეგია უწინარეს ყოვლისა მოიცავს ფინანსურ და აგრარულ სექტორებს, აგრეთვე ისეთ დარგებს, როგორიცაა ენერგეტიკა, ტრანსპორტი, გარემოს დაცვა.

წუხელ შევიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

შეტევა გადაიფიქრეს

სალამოს საათებში მდინარე გუმისთაზე შეიმჩნეოდა მოწინააღმდეგის ძალების კონცენტრაცია სოფელ ქვემო ეშერის მიდამოებში. 22 საათისათვის ორი ხიდის მიდამოებში აფხაზებმა ხმის გამაძლიერებლებით ქართულად, რუსულად და აფხაზურად მიმართეს ჩვენს მებრძოლებს, რომ დილით ისინი აპირებენ შეტევაზე გადმოსვლას და ამიტომ შესთავაზეს ჩვენს მებრძოლებს, ქართველებს ან გადასულიყვნენ მათ მხარეზე, ან კიდევ — უკან დაეხიათ ზუგდიდის მიმართულებით. მიმართვამ საქართველოს საჯარისო ფორმირებებში საყოველთაო მხიარულება და სიცილი გამოიწვია.

როგორც ჩანს, აფხაზურმა მხარემ გადაიფიქრა განეხორციელებინა შეტევა, რადგან აღნიშნული დროისათვის მდინარე გუმისთის მიდამოებში სრული სიმშვიდე სუფევდა. 22 საათსა და 30 წუთზე მოწინააღმდეგემ ქვემო ეშერასთან კვამლით დაფარა თავისი პოზიციები. საქართველოს სამხედრო ნაწილებმა ამის გამო მიიღეს სრული საბრძოლო მზადყოფნა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ კვამლი ისე გაიფანტა, რომ მოწინააღმდეგეს არავითარი მოქმედებისათვის არ მიუმართავს.

იოსებ გობეჩია.

●

კრიმინოგენული აფეთქება

14 დეკემბერს ღამით სოხუმში კრიმინოგენული ვითარების თავისებური აფეთქება მოხდა. ქალაქის ახალ რაიონში რვასართულიან სახლში მერვე სართულიდან გადმოაგდეს 20 წლის ყმაწვილი, რომელიც საავადმყოფოში გარდაიცვალა. იმავე დღეს ქალაქის სანაპიროზე აღმოაჩინეს 50-60 წლის ასაკის ქართული ეროვნების ორი მოკლული მამაკაცის გვამი. მათ მარჯვენა ყურები დაჭრილი ჰქონდათ. სალამოს თავის საყვარელზე განრისხებულმა რუსმა სამხედრო მოსამსახურემ თავი მოიკლა საყვარლის სახლის ფანჯრებთან. მან ტყვია ყელში დაიხალა.

თენგიზ ჯიბუტი.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს
დადგენილება
საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების, სამხედრო აღმშენებლობის გადაუდებელი ღონისძიებებისა და იარაღისა და საბრძოლო მასალების კონტროლის გაძლიერების შესახებ

ქვეყანაში შექმნილი რთული ვითარების სტაბილიზაციის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი დისციპლინის განმტკიცების, სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფის, სამხედრო აღმშენებლობის გადაუდებელი ღონისძიებების, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალების შენახვისა და გამოყენების კონტროლის გაძლიერების მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭო ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, მმართველობის ცენტრალურმა და ადგილობრივმა ორგანოებმა უზრუნველყონ ყველა სახელმწიფო სამსახურის სრული მობილიზება სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ყოველგვარი გამოვლინების აღსაკვეთად.

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების შემდგომი გაძლიერების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი ყველა შეიარაღებული ფორმირების წევრები, აგრეთვე საბრძოლო მოქმედების ზონებში მყოფი მოხალისეები ვალდებული არიან ამა წლის 25 დეკემბრამდე შევიდნენ საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების რიგებში.

2. საქართველოს ერთიან შეიარაღებულ ძალებში ჩარიცხული ყველა სამხედრო მოსამსახურე ვალდებულია დადოს მხედრული ფიცი, ფიცის დადების შემდეგ მათზე გავრცელდეს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა შეღავათი და პასუხისმგებლობა. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა უზრუნველყონ სამხედრო მოსამსახურეთა ფიცის დადების ორგანიზება.

3. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვისა და ფინანსთა სამინისტროებმა დაუყოვნებლივ განსაზღვრონ შეიარაღებული ფორმირებების წევრებთან და მოხალისეებთან კონტრაქტის დადების წესი და განახორციელონ მათი მატერიალურ-ფინანსური უზრუნველყოფა.

4. ყველა სამხედრო ფორმირება, აგრეთვე მათი წევრები, რომლებიც არ შევლენ შეიარაღებული ძალების რიგებში, ცხადდებიან უკანონოდ და პასუხს აგებენ საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრომ ცალკეულ შემთხვევებში გაითვალისწინოს შეიარაღებული ფორმირებების წევრთა უმრავლესობის სურვილი და გამონაკლისის სახით დართოს ნება ცალკეულ შენაერთებსა და ნაწილებს, რომ მათ ეწოდოს ყოფილი სამხედრო ფორმირების სახელი (მაგალითად, ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ბატალიონი, წმინდა გიორგის სახელობის ბრიგადა და ა. შ.).

6. გაუქმებულად ჩაითვალოს დღემდე გაცემული ყველა სახის იარაღისა და საბრძოლო მასალის შენახვის, ტარების, გადატანის, გადაზიდვისა და გადაგზავნის უფლება.

ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის შეძენის, შენახვისა და ტარების ნებართვის გაცემის უფლება მიენიჭოს მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სამინისტროების შესაბამის სამსახურებს დადგენილი წესით.

7. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს მოსახლეობაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის სრული აღრიცხვა და რეგისტრაცია.

საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქე, ვინც ფლობს ცეცხლსასროლ იარაღს, მიუხედავად იმისა, რეგისტრირებულია იგი თუ არა, ვალდებულია მიმდინარე წლის 30 დეკემბრამდე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მიმართოს შინაგან საქმეთა ორგანოებს ცეცხლსასროლი იარაღის ხელახალი რეგისტრაციისათვის.

8. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის, შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროებმა განსაზღვრონ მოქალაქეების ხელთ არსებული იარაღის და საბრძოლო მასალის შესყიდვის წესი საბაზრო ფასების გათვალისწინებით.

პირი, რომელიც რეგისტრაციაში გაატარებს ან ნებაყოფლობით ჩააბარებს ცეცხლსასროლ იარაღს და/ საბრძოლო მასალას ანაზღაურებით, თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან.

9. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს, რესპუბლიკის პროკურატურის მონაწილეობით 1992 წლის 30 დეკემბრამდე შეიმუშაონ და წარუდგინონ საქართველოს პარლამენტს განსახილველად და დასამტკიცებლად შემდეგი კანონპროექტები:

— საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის შესახებ
— სამხედრო მდგომარეობის წესისა და რეჟიმის შესახებ საგანგებო წესების შესახებ
— შეიარაღებული ძალების, სამხედრო მოვალეობის და სამხედრო სამსახურის შესახებ
— სამხედრო პროკურატურის შესახებ
— მხედრული ფიცის, სამხედრო ფორმისა და საბრძოლო დროშის შესახებ
— იარაღის შესახებ.

იმ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, რომლებიც განსაზღვრავენ სამხედრო აღმშენებლობის საკითხების სამართლებრივ უზრუნველყოფას.

10. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრს და საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს 5 დღის ვადაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით განუმარტონ მოსახლეობას ამ დადგენილების ძირითადი მოთხოვნები და არსი.

11. ამ დადგენილების შესრულების კონტროლი დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს წევრებს: საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს თ. ხაჩიშვილს, საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს თ. ნინიძეს, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს, შეიარაღებული ძალების სარდალს, გენერალ-პოლკოვნიკ ა. ქამქამიძეს, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრს ჯ. ქემულარიას და საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის — შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის მთავარ სამხედრო მრჩეველს გენერალ-მაიორს ლ. აბაშიძეს.

12. აღნიშნული დადგენილება ძალაშია მიღებისთანავე.

ე. შევარდნაძე.

ყვარყვარე და ჭინკების ბორიალი

ინტერვიუ ნომერში

საქართველოს პარლამენტის 15 დეკემბრის სხდომაზე ბატონმა ჯაბა იოსელიანმა განაცხადა, რომ დღესაც ზოგიერთ პერიოდულ გამოცემაში მას თავს ესხმიან და ცილს სწამებენ ისინი, ვინც ამასვე აკეთებდა ყოფილი ხელისუფლების დროს, მაშინ, როდესაც იგი პოლიტიკური პატიმარი იყო.

—ხომ არ გაგვიზიარებდით თქვენს ამ ნათქვამს, ბატონო ჯაბა?

— კონკრეტულ პიროვნებასა და გაზეთს ვგულისხმობდი. ყოფილი „საქართველოს რესპუბლიკა", რომელსაც ფაჩუაშვილი რედაქტორობდა, თითქმის ყოველდღე აქვეყნებდა ძალიან „საინტერესო" წერილებს ჩემს შესახებ და ციხეში საშუალება მქონდა ყველაფერი ის წამეკითხა. ის, რასაც ეს გაზეთი აკეთებდა, არც ზნეობრივი, არც იურიდიული თვალსაზრისით გამართლებული არ იყო. პირველი ექვსი თვის განმავლობაში მაინც განსაკუთრებული მონდომებით და სისტემატურობით ირჯებოდნენ.

ამის შესახებ ციხიდან მივწერე რედაქტორს, მაგრამ შეიძლება არც მიუღია წერილი, ან მიიღო და არაფერი მიპასუხა. ან რა უნდა ეპასუხა? ხომ ვიცი, რომ დავალებით მოქმედებდა. როდესაც მონა ხარ და ასეთ შავ საქმეს გაკეთებინებენ, როგორც გამართლება შეიძლება მოგეძებნოს, ვთქვათ,— გაიძულებდნენ. მაგრამ, თურმე მონაც ყოფილხარ და სხვა რამეც გამოძრავებდა. ამას ადასტურებს ის, რომ დღეს, როდესაც საქართველო ომის მდგომარეობაშია, იგივეს აკეთებ, აქვეყნებ ცილისმწამებლურ წერილებს, მტრულ წერილებს, რაღაც „პოლიტიკურ განცხადებებს" ჩვენი მტრებისას. ადრეც მითქვამს, ახლაც ვიმეორებ, რომ გამსახურდიასთანა მტერი საქართველოს არ ჰყოლია. გარეში მტერი თუ დაგვამარცხებდა, ალაფს წაიღებდა, ტყვეებს წაასხამდა, დიდი უბედურება იყო. მაგრამ უმეტესი უბედურებაა ის, რაც გამსახურდიამ გააკეთა: საკუთარ სამშობლოში ლტოლვილებად აქცია ათობით ათასი ქართველი; გადაგვამტერა ის ერები, ვისთანაც საუკუნეობით ერთად ვცხოვრობდით და ქართველებიც გადაგვკიდა ერთმანეთს, ოჯახებიც კი. სიძულვილი დათესა და ახარა. რამდენიც გნებავთ, იმდენი მაგალითის დასახელება შეიძლება ოჯახების გათიშვის, მამა-შვილის დაპირისპირებისა და ასე შემდეგ.

სატანისებური მოვლენა იყო, კოშმარი, ეს ჭინკების რიალი, ეს კარვები და მყვირალა მიტინგები... საქართველოს ცუდზე-ცუდი სიზმარი.

ლიტერატურასთან, ჟურნალისტიკასთან, ჰუმანიტარულ დარგთან ურთიერთობა რომ გაქვს და ამას ვერ დაინახავ, ვერ ხედავდი მაშინ და ახლაც ვერ აფასებ, ვერ ხედავ, რომ საქართველო ძალიან ძნელად, მაგრამ მაინც, ერთიანობისკენ მიდის, ასე თუ ისე ერთიანდება, და ამის მაგალითია, თუნდაც, ჩვენი პარლამენტი, სადაც სხვადასხვა პოზიციებზე მდგარი პარტიები ერთად არიან წარმოდგენილი და ერთმანეთს არ ებრძვიან, სადაც ერთად სხედან საათიანი და იოსელიანი, მაშინ ან ბრმა ხარ ან აკვიატებული აზრის ტყვე. ბევრი რამ უჭირს საქართველოს დღეს, ბევრი სიძნელე და სირთულეა, — არ უნდა გიხაროდეს, შენს ერს რომ უჭირს, შენი გამარჯვება აქ არ უნდა იქნეს.

მინიშნე და დაწერე ამ სიძნელეებზე, დემოკრატიული პრესის პრინციპი — ობიექტურობა ამაშიც გამოიხატება. მაგრამ, როდესაც განზრახ აყალბებ და ამახინჯებ სინამდვილეს, ფაქტებს, ყურმოჭრილ ამბებს ჭეშმარიტებად ასაღებ, მაგალითად, შევარდნაძეს აბრალებ — საქართველოს ეკონომიკას ძირი გამოუთხარაო, ეს რა, ცილისწამება არ არის?

თავისი წიგნიდან მიღებული მთელი შემოსავალი, რაც გაიხნა, დოლარებით, სრულად რომ შემოსწირა საქართველოს, ესაა ეკონომიკური ძირის გამოთხრა? თუ ის, რომ მისი ავტორიტეტის წყალობით საზღვარგარეთიდან კრედიტებს იღებს? თუ ის, რომ ასი ათასი ტონა ხორბალი პირადად [illegible] და პური პირველი კრიზისი ამის წყალობით დაიძლია?

იმან კი რა გააკეთა, ექსპრეზიდენტმა? პირველივე დოლარები, საქართველოს რომ გაუჩნდა და რომლებიც ავადმყოფი ბავშვებისთვის იყო განკუთვნილი, მოხმარა და [illegible] ავტომანქანები იყიდა. ასეთ აშკარა სხვაობას რომ ვერ ხედავს რედაქტორი, ის გაზეთის ხელმძღვანელი კი არა, მწყემსიც არ უნდა იყოს — ვერ დაიცავს ცხვრებს. თუ იგებს და მაინც ასე წერს, მტერია.

(დასასრული მე-2 გვ.)

ვისთვისაც ძვირფასია სამშობლოს მომავალი
თავდაცვის ფონდს შეეწივნენ

● **თბილისის** სახელმწიფო უნივერსიტეტმა ძნელბედობის პირველსავე დღეებში ეროვნული თავდაცვის ფონდში სოლიდური თანხა გადარიცხა. ცალკეული ფაკულტეტებიდან შეკრებილი ფული ისევე გადაეცა თავდაცვის ფონდს. ამ დღეებში კვლავ გადარიცხეს: იურიდიულმა ფაკულტეტმა — 36 000, გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტმა — 30 000, კომერციის ფაკულტეტმა — 22 000, უნივერსიტეტის სტამბის კოლექტივმა — 24 000, სტამბასთან არსებულმა კოოპერატივმა „ცოდნის წყარომ" — 10 000 მანეთი.

⊙ **თბილისის** ტრიკოტაჟის საიჯარო საწარმო „მზატრონის" კოლექტივმა რესპუბლიკის თავდაცვის ფონდში ჯერ კიდევ ოქტომბერში გადარიცხა 61660 მანეთი, თანაც გადაწყვიტა ყოველთვიურად მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის სამი პროცენტით შეეწიოს ფონდს, ეს კი, ჯერჯერობით, 23192 მანეთია.

⊙ **ქალაქ ჭიათურის** კონტროლის პალატამ (თავმჯდომარე ჯემალ გურული) მატერიალური წახალისების და მუშაკთა ხელფასის პირადი დანაზოგიდან საქართველოს თავდაცვის ფონდში ჩარიცხა 100 ათასი მანეთი.

⊙ **პრესის** გავრცელების რესპუბლიკური საწარმოო-გაერთიანება „საქპრესის" კოლექტივმა თავდაცვის ფონდში გადარიცხა 50 ათასი მანეთი და თანამშრომელთა ერთი დღის ხელფასი — 1610 მანეთი.

⊙ **საქართველოს** ჟურნალისტთა ფედერაციის აპარატის თანამშრომლებმა 20 ათასი მანეთი გადარიცხეს თავდაცვის ფონდში.

ყვარყვარე და ჭინკების ბორიალი

(დასასრული)

— მაგრამ თქვენი ასეთი მკაცრი შეფასება ნიშნავს, რომ დემოკრატიული აზროვნების, სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგი ხართ?

— სწორედ რომ მომხრე ვარ დემოკრატიის და სიტყვის თავისუფლებისა. ლანძღვა-გინება და მტრობა არ არის თავისუფლება. დემოკრატია ანარქია კი არ არის, ყველაზე დიდი პასუხისმგებლობაა. ეს ხომ ცნობილია.

ხომ ხედავთ, თავისუფლებამ ჩვენთან ზოგან როგორი მახინჯი ფორმები მიიღო და, სხვათა შორის, გამოაჩინა ვინ როგორი კაცია, ვინ არის და რას წარმოადგენს.

თავისუფლებას დაცვა სჭირდება, ომია მისთვის საჭირო, ყოველდღიური ბრძოლაა საჭირო, როგორც გოეთე ამბობდა. ნაძირალებისაგან სჭირდება დაცვა თავისუფლებას, სულით მონებისაგან. ის მონობა, რომელშიც თავს კარგად გრძნობდნენ, სურთ დაბრუნდეს. აღარ იქნება, ისტორიის ჩარხი უკუღმა არ დაბრუნდება, დამთავრდა!

— ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ჩვენს პრესაში ხელისუფლების ჩაწიხვლის მოდა შემოდის?

— სამწუხაროდ, საერთო, მთლიანი ანალიზის გაკეთების საშუალება არა მაქვს, მაგრამ ბავშვური ნეგატივიზმის ნიშნები რომ გამოჩნდა, ფაქტია. ჩვენმა საზოგადოებამ ჯერ კიდევ უნდა გაიაროს გარკვეული გზა, რომ დაძლიოს ამაყობა, გოროზობა, რაც ასე გამჯდარია, სამწუხაროდ და არც ქრისტიანულ მორალს მიესადაგება.

სხვათა შორის, აღმოსავლეთის ფილოსოფიაში ადამიანის სახელებს ფატალურ მნიშვნელობას ანიჭებენ პიროვნების ჩამოყალიბებაში, მისი ბედის წარმართვაში. არ შეიძლება ქრისტიანი კაცი ზვიადი იყოს, ან რა მაღალი ზნეობის მატარებელი შეიძლება იყოს ადამიანი, რომელსაც სახელად სხვათა მფლობელობა ჰქვია — ვლადიმირი, ვლადისლავი.

ამ ორი წლის წინ ერთი ამერიკელი კორესპონდენტი შემეკითხა, არის თუ არა გამსახურდია ამბიციური? (მაშინ იგი ხელისუფლებისაკენ მიდიოდა). არ ვიცი-მეთქი, ვუპასუხე, სახელად კი ჰქვია ამბიცია. როგორო? — გაუკვირდა. აი, ისე, რომ „ზვიადი" ქართულად „ამბიციას" ნიშნავს მეთქი. გამოუქვეყნებია კიდეც ჩემი ეს პასუხი. ციხეში რომ ვიჯექი, მაშინ იმ გაზეთში, რომელზეც ახლა ვილაპარაკეთ, მინიშნებით და გაუშიფრავად (ზვიადი ამბიციააო, ხომ არ იტყოდნენ?!) შეებრძოლენ ვიღაც ანონიმს—ვინ იყოო ის, ვისაც რაღაც ამბიციებზე ულაპარაკიაო? ვინ იყო და მე ვიყავი, ჯაბა იოსელიანი.. წაუკითხავთ და აყეფდნენ, მთვარეს რომ შეჰყეფენ გოშიები, ისე.

— თქვენი პროფესიიდან გამომდინარე ერთ, ვთქვათ ასე, „თეატრალურ შეკითხვას" დაგისვამთ: რა ნიღბებს დაურიგებდით ყოფილ ხელისუფლებას?

— ჩემი სადოქტორო დისერტაციის თემა მართლაც იყო ქართული კომედიის ნიღბები. გული მწყდება, რომ მაშინ, როდესაც დავიცავი, არ იყო ის გენიალური მასალა — ჩვენი ყოფილი ხელისუფლება.

ჯერ მთავარი მოქმედი პირი — ნაცარქექია თუ ყვარყვარე?

ნაცარქექიას და ყვარყვარეს ნიღბები. ნაცარქექია ებრძვის ბოროტებას, და გარემოებანი გმირად ქმნის, ჟინებლიც გმირია, კომიკური, კეთილი პერსონაჟია. ყვარყვარეს ნიღაბი — ნაცარქექიასავით მშიშარა და ფანტაზიორი, მაგრამ გაიძვერა, ეშმაკი და ბოროტი, ბოროტების შემქმნელი თუ ხელშემწყობი.

მერე, — მთელი გალერეა ნიღბების. მაშინ, სანამ აღზევებული იყვნენ, — სატირული, ახლა — კომიკური პერსონაჟების მთელი გალერეა.

მათი მიტინგები ხომ გახსოვთ? კომიზმის აღზევება არ იყო? ერთი ჩემი ახლობელი მომიყვა, რომ მისდა საუბედუროდ ასეთ მიტინგზე მისულა, ერთ მოკივარ დედაკაცს უცვნია, — ეს ჯაბისტიაო (ჯაბისტი, ზვიადისტი — ჯერ ეს რა არის?). ისეთი სიტუაცია შექმნილა მის გარშემო, გააფთრებული მომიტინგეები მომკლავდნენო, და გადაუხდია ქუდი, აუწეწია თმები, ამოუჩეჩია ტანსაცმელი, გადმოუკარკლავს თვალები — გიჟი ვარ, გიჟი ვარო!—დავიწყეო ყვირილი. სულმა სული იცნო: დაუნებებიათ თავი.

ინტერვიუ ნომერში

წარმოიდგინეთ ეს სიუჟეტი სცენაზე. მაყურებელმა შეიძლება თქვას, გადაჭარბებულიაო. მაგრამ ასეთი იყო სინამდვილე.

შექსპირის „მაკბეტის" დადგმისას ჭინკების სცენებს ზოგიერთი რეჟისორი კვეცავდა ხოლმე, თვითონ ვარ ამის მოწმე. ვერ გადაეწყვიტათ, გასაღები ვერ მოეძებნათ ამ სცენებისათვის, ვერც მიჰქონდათ მაყურებლამდე.

ჩვენმა ცხოვრებამ მოიტანა და დაგვანახა, როგორი ყოფილა თურმე გენიალური შექსპირის ის სცენები: ჩვენს თვალწინ დაბორიალობდნენ და ახტოდნენ ჭინკები, ეს კარვის ქალები. ცხოვრებამ დადგა თვითონ განუმეორებელი გენიალობით.

— ხომ არ აპირებთ, რომ ყოველივე ეს ასახოთ თქვენს შემოქმედებაში?

— რას გეტყვით, იცით? ამას წინათაც შემეკითხნენ, რატომ არ იქმნება ჩვენს დღევანდელ ფონზე, რომელიც, რასაკვირველია, ძალიან საინტერესოა ცხოვრების მიერ კარგად დამუშავებული თემატიკით, დრამატული თუ კომიკური სიტუაციებით, მხატვრული ნაწარმოებები.

შემოქმედი, უშუალო მონაწილე ჩვენი დღევანდელობისა, ძალიან ძნელად გამოდის ამ სიტუაციიდან, არადა, იგი, საჭირო განზოგადებისთვის უნდა ამაღლდეს ემპირიულ მასალაზე. მხატვრული ნაწარმოები რომ შექმნას, ყოფითი ურთიერთობა უნდა დაარღვიოს სინამდვილესთან. დისტანციაა საჭირო.

ძალიან ხშირად ვყოფილვარ საკმაოდ დაძაბულ სიტუაციაში, დრამატულიც ყოფილა და ტრაგიკულიც, მაგრამ ყველაფერი ჩვეულებრივი, ყოფითი განცდების დონეზე დარჩენილა, არ გამოუწვევია სურვილი შემოქმედებითი ასახვისა. მაგრამ სხვას რომ მოუყოლია, შეიძლება, ნაკლებ მძაფრი ამბები, იმაზე კი მიფიქრია, იქნებ ღირდეს-მეთქი დაწერა. დისტანციაა საჭირო, ამიტომ მოგახსენეთ, — ჰაერიც და დისტანცია დროშიც. „ომი და მშვიდობა" ნაპოლეონთან ომის დამთავრების 50 წლის შემდეგ დაიწერა. ამიტომ მგონია, რომ მე ვერ გამომივა ალბათ. შეიძლება მემუარული ხასიათის რაღაც მასალა დავტოვო, თუ დამცალდა, თუ საშუალება მომეცა რომ ვიმუშაო, ეს ჩემი ნატვრაა, პროფესიით მუშაობა...

— თქვენი ნატვრა... და თქვენ მაინც რჩებით „სახელმწიფო საქმეში", იმიტომ ხომ არა, რომ ჯერ ყველაფერი არ გაკეთებულა, რაც უნდა გაკეთდეს და თავს უფლებას არ აძლევთ „წავიდეთ საკუთარ პროფესიაში?"

— ყველაფერი რომ გაკეთდეს, მაშინ ცხოვრებაც შეჩერდებოდა. ჩემი თავი იმაზე დავიჭირე, რომ უნდა წავსულიყავი, მაგრამ, მართლაც, ბევრი რამ არაა გაკეთებული და ამან შემაჩერა, თუმცა პრობლემები სულ იქნება. ესე იგი, რა, არ უნდა წავიდე? უნდა წავიდე, ცხადია, მაგრამ ჩემსავით, ეგებ, სხვამ ვერ გააკეთოს ის საქმე, რომელიც კარგად ვიცი. ეს მაჩერებს. თუმცა შეიძლება ისეც გეჩვენებოდეს.

მახსოვს, ერთ-ერთი სამეცნიერო დაწესებულების ხელმძღვანელმა, რომელიც ხანში შევიდა, შეკრიბა კოლექტივი და განუცხადა, უნდა წავიდეო. ვატყობ, რომ ასაკს თავისი მიაქვს და რაღაც-რაღაცეები, თუნდაც მეხსიერების შესუსტების გამო, მეშლებაო. ჩვენ ყველაფერს გატყობთო, უპასუხიათ. აი, თქვენ რომ შეატყობთ, მაშინ მე აღარ წავალო, უთქვამს იმ ხელმძღვანელს.

პოპულარობა ცხოვრებაში არასოდეს დამკლებია და, მერწმუნეთ, ამის გამო არ ვრჩები იქ, სადაც დღეს მიწევს ყოფნა.

და, საერთოდ, ცხოვრებაში ეს არაა მთავარი.

— თქვენ ხშირად ხართ ფრონტზე, პრობლემებსაც ხვდებით და წვრილმანებშიც გიხდებათ გარკვევა. უმთავრესს რას ხედავთ?

— ომში? ვხედავ იმას, რომ საქართველო გამოჯანსაღების გზაზეა. ბანალური მაგალითია, მაგრამ სახიერიც არის: მგელი ნადირობისას სუსტს, დაუძლურებულს იჭერს. ბუნებრივი შერჩევა ასე მიმდინარეობს: ძლიერი იმარჯვებს (ან გადარჩება), სუსტი ხდება მსხვერპლი. სწორედ ასე დგას დღეს საკითხი ჩვენი ყოფნა-არყოფნისა. ძლიერები ვართ? გადავრჩებით! ასე ვფიქრობ ამ ომის [illegible].

— იმედიანად ფიქრობთ?

— რა თქმა უნდა.

„საქართველოს რესპუბლიკის" საპარლამენტო პრესცენტრი.

სათქმელი უნდა ითქვას

სწავლების ხარისხის გამო

თეიმურაზ კობალაძე,

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

დღეს, როცა საქართველო იურიდიულად დამოუკიდებელი გახდა და მსოფლიოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ერთიან ოჯახში შევიდა, როცა იგი დემოკრატიული საზოგადოების აშენების გზას დაადგა, საქართველოს უმაღლესი სკოლა პრინციპულად ახალი ამოცანების წინაშე აღმოჩნდა. მსოფლიოს წამყვან და განვითარებულ ქვეყნებთან პარტნიორული ურთიერთობის დამყარების აუცილებლობა ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროში მოითხოვს სხვასთან ერთად საქართველოს უმაღლესი სკოლის ძირეულ გარდაქმნას და დაახლოებას მსოფლიოს სათანადო სისტემებთან როგორც შინაარსობრივი, ისე სტრუქტურული მოწყობის თვალსაზრისით.

ასეთი გარდაქმნის ერთ-ერთ ასპექტს წარმოადგენს უმაღლეს სასწავლებელში ორსაფეხურიანი სწავლების შემოღება. ასეთი მოსაზრება ჯერ კიდევ 1990 წელს გამოვთქვი პრესაში. ჩემს მაშინდელ სტატიაში განსაზღვრული იყო სწავლების ორივე საფეხურის დანიშნულება და კურსდამთავრებულთა სათანადო სტატუსი, რაც შეეხება სწავლების თითოეული საფეხურის ხანგრძლივობას, ცხადია, იგი უნდა გადაწყდეს დარგების მიხედვით სწავლების საფეხურის მიზანდასახულობის გათვალისწინებით. ამ საკითხის გადაწყვეტა თვით სასწავლებლებს უნდა ენიჭებოდეს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების ავტონომიის ფარგლებში, თუმცა მიზანშეწონილად მიმაჩნია ყველა უმაღლეს სასწავლებელში სწავლების პირველი ეტაპი გულისხმობდეს გარკვეულ ზოგად მომზადებას საზოგადოებრივ-ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, რაღა თქმა უნდა, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დგება სწავლების ხარისხის თანამედროვე სტანდარტების დონეზე უზრუნველყოფის საკითხი. ვფიქრობ, არ საჭიროებს მტკიცებას ის, რომ კვალიფიციური სპეციალისტის მომზადება უმაღლეს სკოლაში სამეცნიერო მუშაობის სათანადო დონის გარეშე შეუძლებელია. ვინც მეცნიერულ მუშაობას არ ეწევა, იგი არ შეიძლება იყოს უმაღლესი სკოლის სრულფასოვანი მასწავლებელი, განსაკუთრებით სწავლების მეორე საფეხურზე, სადაც ხდება დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტის კონკრეტული მიმართულებით მომზადება ან მეცნიერული მუშაობისათვის საფუძვლების ჩაყრა. ვფიქრობ, ამ მიმართულებით ვითარების არსებით გაუმჯობესებას დიდად შეუწყობდა ხელს უმაღლეს სკოლაში სამეცნიერო-სასწავლო თუ წმინდა სამეცნიერო თანამდებობის დაკავების საკონტრაქტო სისტემის შემოღება-დამკვიდრება, სისტემისა, რომელიც ძირითადია მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა უმაღლეს სკოლაში. იგი არა მარტო შეეფარდება ეკონომიკაში საბაზრო ურთიერთობათა დანერგვა-დამკვიდრებას, რომლის აუცილებლობა დღევანდელ საქართველოში არავისთვის უნდა იყოს საეჭვო, არამედ არსებული ბიუროკრატიული, უკვე გადაულახავ დაბრკოლებად ქცეული, სტრუქტურების პროგრესულით შეცვლის ერთ-ერთ ძირითად საშუალებას წარმოადგენს. რა თქმა უნდა, იმავდროულად უნდა შემუშავდეს ადამიანთა სოციალური დაცვის სათანადო სისტემაც.

სამეცნიერო მუშაობის გაძლიერების ერთ-ერთ საშუალებად მესახება მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების მეცნიერული პოტენციალის უმაღლეს სკოლაში გამოყენება. ეს საკითხიც განხილულია ზემოხსენებულ საგაზეთო სტატიაში. იქ გამოთქმული მთავარი მოსაზრება იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოს სტრატეგიას უნდა შეადგენდეს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სახელმწიფო სისტემის შექმნა პერსპექტივაში. სწორედ ასეთი ერთიანი სისტემები ფუნქციონირებენ მსოფლიოს მაღალგანვითარებულ ქვეყნებში. მათი გამოცდილება არც ჩვენთვის იქნებოდა ურიგო.

აქამდე სახელმწიფო უმაღლეს სკოლაზე ვლაპარაკობდით, არადა, ამ ბოლო ხანებში საქართველოში უამრავი კერძო უმაღლესი სასწავლებელი შეიქმნა. ბუნებრივად ისმის მათი და სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების ფუნქციონირებისა და თანაარსებობის საკითხი. ეკონომიკაში საბაზრო ურთიერთობების პირობებში სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სასწავლებლების თანაარსებობა ბუნებრივია და აუცილებელიც. მაგრამ იბადება კითხვა, მაშინ როცა კერძო საკუთრების დამკვიდრების საქმე საქართველოში მხოლოდ და მხოლოდ ჩანასახოვან მდგომარეობაშია (შეიძლება არც კი) ე. ი. ეკონომიკური საფუძველი არ არის, ამ დროს კერძო უმაღლესი სასწავლებლების მასობრივი გახსნა შენობის სახურავიდან აშენებას ხომ არ წააგავს? დღესდღეობით უმაღლესი განათლების სისტემაში კერძო სასწავლებლების დაშვება გარკვეული სახით ჩემში ეჭვს არ იწვევს. მაგრამ ნებისმიერი უმაღლესი სასწავლებლის ნორმალური მუშაობისათვის აუცილებელია სამი პირობის არსებობა: საერთაშორისო დონის სასწავლო-სამეცნიერო პროგრამა, სათანადო დონის სამეცნიერო-პედაგოგიური კადრები და სასწავლო-სამეცნიერო ტექნიკური ბაზა ადგილსამყოფლით. ცხადია, კერძო უმაღლესი სასწავლებლის ჩამოყალიბებისათვის ნებართვის გაცემის დროს ყველა ეს პირობა აუცილებლად უნდა იყოს შესრულებული, თანაც ყველასათვის ერთნაირად. ჩემი აზრით, საქართველოს წინა ხელისუფლების შეცდომა ის კი არ იყო, რომ კერძო უმაღლესი სასწავლებლების არსებობა დაუშვა, არამედ ის, რომ მას ასეთი ფართო მასშტაბი მიეცა ეკონომიკური და მეცნიერული საფუძვლების გარეშე (სამწუხაროდ, ეს პროცესი ახლაც გრძელდება). ისმის კითხვა, ესაჭიროება კი დღევანდელ საქართველოს ამდენი უმაღლესი სასწავლებელი? დღეს რომ საქართველოში ჭეშმარიტად მაღალკვალიფიციური კადრების ნაკლებობაა მეურნეობის, განათლებისა თუ სხვა დარგებში, ეს შეუიარაღებელი თვალითაც ადვილი დასანახია. მაგრამ ვინ დაადგინა, რა რაოდენობის და რომელი დარგის კადრებია საჭირო? კერძო საკუთრება და მასზე დაფუძნებული საბაზრო ეკონომიკა ჩვენში დამკვიდრებული რომ იყოს, მაშინ ამ კითხვას თავად ცხოვრება გასცემდა პასუხს — ჭეშმარიტი სპეციალისტი იპოვიდა თავის ადგილს, ხოლო დიპლომიანი, რომელიც სათანადო ცოდნით არაა გამაგრებული (ასეთების სიჭარბე მალე გახდება ნათელი), დაუსაქმებელი დარჩებოდა. მაგრამ ამ გარდამავალ ეტაპზე, რომელშიც ახლა იმყოფება საქართველო, ამ მიმართულების გარკვეული სახელმწიფო რეგულირებაა საჭირო.

კერძო უმაღლესი სასწავლებლების არსებობამ დააყენა ფასიანი სწავლების მიზანშეწონილობის საკითხი სახელმწიფო უმაღლესი განათლების სისტემაში. ამ საკითხზე ამჟამად ორი აზრი არსებობს: ერთნი ფიქრობენ, რომ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელში სწავლება ყველასათვის უფასო უნდა იყოს (როგორც აქამდე იყო), სხვებს კი სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელში უფასო სწავლების სექტორთან ერთად ფასიანი სწავლების სექტორის არსებობა არათუ შესაძლებლად, არამედ აუცილებლადაც კი მიაჩნიათ. აღსანიშნავია, რომ გასულ წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ საკითხის განხილვის შედეგად მისი დიდი საბჭოს უმრავლესობამ (უბრალო უმრავლესობამ და არა კვალიფიციურმა უმრავლესობამ) მეორეთა მოსაზრებას დაუჭირა მხარი. ჩემდათავად, პირველთა რიცხვში ვიყავი, მაგრამ ამავე დროს შესაძლებლად მიმაჩნდა კერძო (ე. ი. ფასიანი) უმაღლესი სასწავლებლის დამოუკიდებლად არსებობა, რაც სხვათა შორის, მაშინდელმა ხელისუფლებამ დააკანონა კიდეც. სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელში ფასიანი და უფასო სწავლების სექტორების ერთდროულად არსებობის დაშვების შემთხვევაში იბადება კითხვა, თუ რა პრინციპით მოხდეს აბიტურიენტთა ჩარიცხვა. თუ მისაღებ გამოცდებზე უფასო და ფასიან სექტორებზე ჩასარიცხ აბიტურიენტებს განსხვავებულ მოთხოვნებს წავუყენებთ, მაშინ ჩემი აზრით, საფუძველი ეცლება მათ ერთ სასწავლებელში თანაარსებობას. ხოლო თუ საერთო მისაღებ გამოცდებს ჩავატარებთ ერთიანი მოთხოვნებით, მაშინ ჩარიცხვის ერთადერთი პრინციპი გვრჩება: ისინი, ვინც შედარებით მეტი რაოდენობის ქულებს დააგროვებს, უფასო სწავლების სექტორზე ჩაირიცხებიან, ხოლო დანარჩენები (გარკვეული მინიმუმი ქულების მქონე) — ფასიან სექტორზე, რის შედეგადაც უთუოდ მოცემულ დარგში მომზადების დონითა და შესაძლებლობებით ორ განსხვავებულ სექტორს მივიღებთ. შესაბამისად, იძულებული ვიქნებით განსხვავებული მოთხოვნები წავუყენოთ სწავლების პროცესშიც, რასაც უფასო სწავლების სექტორზეც მომთხოვნელობისა და მომზადების დონის დაცემა მოჰყვება. ვფიქრობ, ვერაფერი პერსპექტივაა! გარდა ამისა უფასო და ფასიან სექტორებზე ამ წესით მიღება გამოიწვევს მისაღებ გამოცდებზე ფასიანი პროტექციონიზმის შემდგომ გაძლიერებას (არა მგონია ამან სიკეთე მოუტანოს კორუფციით ისედაც გაჟღენთილ ჩვენს საზოგადოებას!). ჩემდათავად სახელმწიფო უმაღლესი სკოლის შემდგომი განვითარება ასე მესახება:

სახელმწიფო სასწავლებელში სწავლა უფასოა და მას მთლიანად სახელმწიფო აფინანსებს (თუმცა არ გამოვრიცხავ იმას, რომ გარკვეული ოდენობის მათთვის საჭირო კადრების მომზადების დაფინანსება დიდმა კერძო ორგანიზაციებმა იკისრონ, მაგრამ უნდა შემცირდეს მისაღები კონტინგენტის რაოდენობა, თანაც, თანდათანობით, ისე რომ, ხუთი-ექვსი წლის შემდეგ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობდეს ამჟამინდელის დაახლოებით ნახევარი (სჯობს მცირე და კარგი!) ამავე დროს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობა ერთგვარად უნდა შემცირდეს. ამასთან ერთად სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში ამჟამად არსებული სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების შესანარჩუნებლად მიზანშეწონილად მიმაჩნია ორი ღონისძიების ჩატარება: პირველი, უნდა შემცირდეს პედაგოგიური დატვირთვის ოდენობა, რათა მეტი ყურადღება დაეთმოს სამეცნიერო-კვლევით მუშაობას, როგორც ეს მსოფლიოს წამყვან განვითარებული ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებშია; და მეორე, უმაღლეს სასწავლებლებთან უნდა გაიხსნას კოლეჯები, ლიცეუმები და სხვა სპეციალიზებული საშუალო სასწავლებლები, სადაც მოსწავლეები გაივლიან საშუალო სკოლის ბოლო სამწლიანი ეტაპით გათვალისწინებულ პროგრამას, რაც უმაღლეს სკოლას საშუალებას მისცემს დაასაქმოს მისაღები კონტინგენტის შემცირებით გამოწვეული ნაწილობრივ „გამოთავისუფლებული" პედაგოგები, რათა სათანადო უმაღლესი სკოლისათვის საჭირო მისაღები კონტინგენტი.

გამოყოფა აუცილებლად საჭიროა

საუბრის გაგრძელება

რევაზ კილაძე,

პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ყოველგვარი დასაბუთებისა და მოსალოდნელი შედეგების გაუთვალისწინებლად პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემა განათლების სამინისტროს შეუერთეს. ამ ორი სისტემის შერწყმა, ალბათ, კეთილშობილური და პერსპექტიული მოსაზრებით იყო გამიზნული, სამწუხაროდ, დღევანდელი ფაქტობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, მან ვერ გაამართლა, სარგებლობის ნაცვლად სერიოზული პრობლემების წინაშე დაგვაყენა. ბოლო ხანებში დაეცა პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ავტორიტეტი, მოიშალა სასწავლო პროცესი, დაქვეითდა პროფესიული კადრების მომზადების დონე, სახალხო მეურნეობა ველარ ღებულობს თანამედროვე ტექნიკას დაუფლებულ პროფესიულ მუშათა კადრებს, მეურნეობის ძირითად დარგებში მკვეთრად იგრძნობა მაღალკვალიფიციური მუშების ნაკლებობა, ნადგურდება ხანგრძლივ პერიოდში დიდი ძალისხმევით, რუდუნებითა და სახელმწიფოს დიდძალი სახსრებით შექმნილი სასწავლო-მატერიალური ბაზები, დაეცა პროფსასწავლებლებისა და საწარმოების ტრადიციული, ორივე მხარისათვის სასარგებლო ურთიერთკავშირი. ასეთ უარყოფით შედეგებს თავიდან ავიცილებდით, პროფტექნიკური განათლების სისტემა ცალკე, დამოუკიდებლად რომ ყოფილიყო.

ამას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ, ერთ-ერთი მომსწრე და უშუალო მონაწილე ვარ იმ დიდი რეფორმების და გარდაქმნებისა, რომლებიც გატარდა ამ სისტემაში სამოცდაათიან წლებში. სამწუხაროდ, ბოლო ხანებში ეს ტენდენცია საგრძნობლად შეირყა, ზოგ პარამეტრში კი, შეიძლება ითქვას, ჩაკვდა.

პროფტექნიკური განათლების სისტემაში სადღეისოდ შექმნილი მძიმე მდგომარეობის სურათი ნათლად არის წარმოჩენილი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" (1992, 20 ნოემბერი) გამოქვეყნებულ სტატიაში — „რომელ ტოტს ვჭრით?" სტატიის ავტორები (ა. ეჯიბაძე, დ. დავითაშვილი) საქმის ღრმა ცოდნით საფუძვლიანად აანალიზებენ მოცემულ პრობლემას და გვთავაზობენ უთუოდ სასარგებლო წინადადებებს, რომელთაც; ძნელია არ დაეთანხმო. ამ ორი სისტემის მექანიკური გაერთიანებით გამოწვეული სავალალო შედეგები დღეს აშკარად ჩანს. სწორედ ამიტომ, ხსნის ერთ-ერთი საშუალება პროფტექნიკური განათლების დამოუკიდებელ სისტემად არსებობა, მისი ადრინდელი სტრუქტურების აღდგენა და ფუნქციონირებაა.

პროფტექნიკური განათლების სისტემის დამახასიათებელი არსებითი განსხვავება ტრადიციული განათლების სამინისტროს სისტემისაგან ისაა, რომ პროფტექნიკურ განათლებაში ერთდროულად კონცენტრირდება თეორიული სწავლება და პროფესიული მომზადება, რასაც განსაზღვრავს თეორიულ-პრაქტიკული სწავლების ფორმები, შინაარსი, სასწავლო-მატერიალური ბაზები და სასწავლებლების შესაბამის საწარმოებთან ურთიერთკავშირის აუცილებლობა, აგრეთვე ის ტრადიცია, გამოცდილება, ამ ასპექტით ათეულობით წლების განმავლობაში რომ დაგროვდა. განათლების სამინისტრო მაქსიმალურად (და ტრადიციულადაც) უზრუნველყოფს მოსწავლეთა შეიარაღებას ზოგად მეცნიერებათა საფუძვლებით. სწორედ ამის გამოა, რომ განათლების სამინისტრო პროფტექნიკური განათლების დარგს და პროფესიული მუშა კადრების მომზადების საქმეს გამართულად ველარ ხელმძღვანელობს. ხელმძღვანელობისა და ყურადღების შესუსტება კი ზემოაღნიშნული და სხვა მრავალი ხარვეზის გამომწვევი მიზეზია. ცხადია, დამოუკიდებელი საქართველოს სახალხო მეურნეობა, მისი მაღალპროდუქტიულობისა და, პირველ რიგში, მოსახლეობის გადაუდებელ საჭიროებათა მაქსიმალური დაკმაყოფილებისათვის ბრძოლა მოითხოვს მომზადდეს ისეთი მაღალკვალიფიციური კადრები, რომლებიც შეძლებენ დღევანდელ და განსაკუთრებით ხვალინდელ ტექნიკურ აღჭურვილობათა მართვას, ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი რესურსების გეგმაზომიერად გადამუშავებას. ასეთი სახალხო მეურნეობის უზრუნველყოფას კვალიფიციური კადრებით პროფტექნიკური სასწავლებლები შეძლებენ მხოლოდ და მხოლოდ დამოუკიდებლად არსებობის პირობებში. მართალია, ის განათლების სფეროს შემადგენელი ნაწილია, მაგრამ მისი გამოყოფა განათლების სამინისტროსაგან ცალკე სტრუქტურის სახით, მისი სპეციფიკური თავისებურებებისა და მუშაობის ოპერატიული ხელმძღვანელობის გამო, აუცილებელია. განათლების სამინისტროს დღევანდელმა ხელმძღვანელობამ კი ეს საქმე მტკივნეულად არ უნდა აღიქვას, მით უმეტეს, ნეგატიური სურათი ჩვენს თვალწინაა. ნებსით თუ უნებლიეთ, მომხდარ ფაქტში სამინისტროს ადრინდელი ხელმძღვანელობის წილი საკმაოდ დიდია. საჭიროა, განათლების სამინისტრომ ხალხის ინტერესებისათვის შესაძლებლობის მაქსიმალური გააკეთოს საქმის უმტკივნეულოდ მოგვარებისა და გამოყოფილი უწყების ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

პროფტექნიკური განათლების სისტემის დამოუკიდებლად არსებობისათვის დღევანდელი და ხვალინდელი პერსპექტივის გათვალისწინებით აუცილებელია მრავალი გადაუდებელი ამოცანის სასწრაფო გადაწყვეტა. ამ მიმართულებით სავალდებულოა, პირველ რიგში შემუშავდეს პროფტექნიკური განათლების კონცეფცია, შეიქმნას მეცნიერულად დასაბუთებული და სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტივებთან შეჯერებული რეფორმა. პროფტექნიკური განათლების სისტემას მთლიანად უნდა დაუბრუნდეს ყოფილი სასწავლო-მატერიალური ბაზები, მოხდეს ამ ბაზების სრულყოფა, ეფექტიანი გახდეს კავშირ-ურთიერთობა საწარმოებთან, პრიორიტეტი მიეცეს კადრების მომზადებას პროფესიებში, რომლებზეც დღეს დიდი მოთხოვნილებაა და ამასთან კადრების ნაკლებობა შეიმჩნევა, შემუშავდეს რაციონალური მექანიზმი პროფტექნიკური სასწავლებლებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ურთიერთსასარგებლო კავშირებისათვის, შეიქმნას სახელმძღვანელოები, მეთოდიკური და სპეციალური ლიტერატურა მოსწავლეებისა და პედაგოგებისათვის. აუცილებელია, პროფტექსასწავლებლების პროფესიათა ნუსხა, სასწავლო გეგმები და პროგრამები ახალი რეფორმისა და კონცეფციის მიხედვით განისაზღვროს. სასურველია, სწავლების ვადა დაემთხვეს საშუალო სკოლის სწავლების ვადებს (ალბათ, ერთი-ორი წელი).

პროფტექნიკური განათლების გარდაქმნასა და სრულყოფაზე მსჯელობისას საჭიროა პირველ რიგში, ყურადღება გამახვილდეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასთან მის მჭიდრო ურთიერთკავშირზე: [illegible] წინა პლანზეა სკოლაში შრომითი აღზრდის, სწავლებისა და პროფორიენტაციის ახლებურად დაყენების საკითხი. სამწუხაროდ, ბოლო ხანებში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებიდან პროფტექნიკურ სასწავლებლებში მიდიან არაორიენტირებული ახალგაზრდები. სწორედ ამიტომაც მათი პროფმომზადება საგრძნობლად ჭირს და შედეგებიც დაბალია. აქ გარკვეულად სკოლაც [illegible], სადაც, ასევე ამ ბოლო წლებში განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობის ყურადღებისა და კონტროლის შესუსტების გამო უკიდურესად დაეცა შრომითი სწავლების დონე, მოიშალა შრომითი სწავლების სახელოსნოები, კაბინეტ-ლაბორატორიები, ბევრგან გაუქმდა პროფორიენტაციის კაბინეტები და სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატები. ყოველწლიურად გაუმართლებლად მცირდება შრომითი სწავლების საათები სასწავლო გეგმებში, რის გამოც ასე საჭირო საქმე მეორეხარისხოვან და უყურადღებოდ მიტოვებულ უბნად იქცა. ასეთი უარყოფითი ტენდენციის შეჩერება და სწორი კურსით რეგულირება განათლების სამინისტროს გადაუდებელი ამოცანაა. ეს სავალდებულოა იმისათვის, რომ თანამედროვე მაღალი მოთხოვნების შესაბამისად ცხოვრებისათვის მოვამზადოთ ახალგაზრდები, რომლებიც მაღალკვალიფიციურად იშრომებენ სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ უბანზე. უნარიანი პროფესიული კადრების მომზადება ხალხის კეთილდღეობის ერთ-ერთი მთავარი საწინდარია.

ხალხის ჯანსაღ ნაწილს მტკიცედ სწამს, რომ რესპუბლიკის პარლამენტი და მთავრობა დროულად [illegible] ქვეყნისათვის ამ [illegible] ამოცანის შესახებ და [illegible] გადაწყვეტს მას.

დანიშვნები

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა დანიშნა:

ნოდარ ხარატიშვილი — საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მინისტრის პირველ მოადგილედ, **ვახტანგ თოდუა** — მინისტრის მოადგილედ;

თეიმურაზ ხურციძე — საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების მინისტრის პირველ მოადგილედ, **კუკური გვარიშვილი** და **ავთანდილ წილოსანი** — მინისტრის მოადგილეებად;

გიორგი ცაგარელი — საქართველოს რესპუბლიკის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, **ნუგზარ დუჩიძე** და **მერაბ კლიმიაშვილი** — კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეებად;

ომარ მარგველაშვილი — საქართველოს რესპუბლიკის ტურიზმის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ.

წერილების ექო

„რამდენიც კაცია, იმდენი აზრია"

„საქართველოს რესპუბლიკა", № 238.

რედაქციას უპასუხებს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი.

„საქართველოს რესპუბლიკაში" დაბეჭდილ მასალაში რუბრიკით „რამდენიც კაცია, იმდენი აზრია" საქართველოს ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს ინსპექციის უფროსმა ბ. კუპრეიშვილმა მოიხსენია აბაშის რაიონის სოფელ სეფიეთის ეკლესიის სპილენძის სახურავის მოპარვის ფაქტი.

ჩვენ დავუკავშირდით აბაშის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებას და შევიტყვეთ, რომ ეკლესია გადახურული იყო არა სპილენძის, არამედ რკინის ფურცლებით. ბოროტმოქმედების მიერ გატაცებული 4 ფურცელი უკვე შეიცვალა ახლით. ამ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა.

ჩვენი რესპუბლიკის სახლ-მუზეუმებისა და ეროვნული საგანძურების გაძარცვის ფაქტებთან დაკავშირებული გამოძიებების შედეგების გასაგებად მივაკითხეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო სამმართველოს უფროსს ჯემალ გახოკიძეს. გაირკვა, რომ ასეთი დანაშაულობათა გამოძიების კონკრეტული შედეგებისთვის ჯერ არ მიუღწევიათ. მხოლოდ 17 იანვარს გაძარცვული ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმიდან წაღებული ნივთების ნაწილი დაუბრუნეს უცნობმა პირებმა სახელმწიფოს. სამწუხაროდ, ამ დანაშაულის ჩამდენთა ვინაობა გამომჟღავნებული არ არის.

გარდა ამისა, 11 დეკემბერს ყვარლის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს ქინძმარეულის მევენახეობის მეურნეობის მუშა ანზორ ჟილაძე, რომლის ბინიდანაც ამოიღეს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმიდან გატაცებული 2 ბროლის ლარნაკი და 2 ხალიჩა.

აფხაზეთის შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ექვსი თვეა შეიქმნა. იგი სამი მიმართულებით მუშაობს: პენსიების დანიშვნა და გაცემა, დემოგრაფია და შრომითი საკითხები, შრომის ბირჟა და უმუშევართა პრობლემები. ისედაც ურთულესი ეს პრობლემები საომარ სიტუაციაში უფრო რთულდება.

მიუხედავად ომისა, პენსიები დარიგდება

გვესაუბრება აფხაზეთის შრომისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ზურაბ ლაკერბაია:

— მას შემდეგ, რაც ომი დაიწყო, 30 მილიონ მანეთამდე პენსიები და დახმარება გაიცა. და ეს მაშინ, როცა აფხაზეთის მთელი მრეწველობა თუ [illegible] ორგანოები მოშლილია ან დაბალი კოეფიციენტით მუშაობს. ამიტომაც შემიძლია ვთქვა, რომ სოხუმის სოციალურად დაუცველი ფენა შიმშილობას გადავარჩინეთ. ლტოლვილებზე ნახევარი მილიონი მანეთი შემწეობა გავეცით და მათთვის გამოყოფილი დაახლოებით 500 ათასი მანეთიდან 150 ათასის სურსათი შევიძინეთ და უფასოდ დავარიგეთ. ეს საქმე ჩვენმა ინტერნაციონალურმა სამინისტრომ იკისრა და გაართვა კიდეც თავი. ამას იმიტომ ვამბობ, რომ საომარმა მოქმედებამ ხალხი ეროვნებებად დაყო, ჩვენი სამინისტროს სისტემაში კი ჭირ-ვარამის გადასატანად ყველა ერთმანეთს ამოუდგა მხარში.

— ბატონო ზურაბ, პენსიებზე რას გვეტყვით?

— პენსიების გაცემის მდგომარეობა აფხაზეთის ხუთივე რაიონში სხვადასხვაა, თუ სოხუმზე ვიტყვით, აქ დღეისათვის პენსიების გაცემა ოქტომბრის ჩათვლით მიმდინარეობს. 25 ათასი პენსიონერიდან 1300-ს პენსია აგვისტომდე არ ჰქონდა მიღებული, ამიტომ ათკაციანმა ჯგუფმა კონკრეტული სიების საფუძველზე აღნუსხა და საბოლოოდ აღმოფხვრა დავალიანება სექტემბრის ჩათვლით. მძიმე სიტუაციიდან თავის დაღწევაში კი პრემიერ-მინისტრის თენგიზ სიგუას გადაწყვეტილებამ გვიშველა. 60 მილიონი მანეთი გამოიყო აფხაზეთისთვის ხაინდრავას, ნადარეიშვილისა და ლომინაძის მცდელობით. და მაინც, პენსიების გაცემაში არსებული ხარვეზები სისტემის ტექნოლოგიური ციკლის დარღვევითაა გამოწვეული.

— პენსიის დარიცხვა მის გაცემამდე ჯერჯერობით ერთმმართველობის ხელში არ არის მოქცეული. საფოსტო განყოფილებების უწესრიგო მუშაობა დროულად ვერ უზრუნველყოფს მიმღებ მომხმარებელს, რასაც ბანკების კომპეტენციაში შემავალი ფულის ნიშნების ნაკლებობაც ემატება. სწორედ ამიტომ ჩვენმა სამინისტრომ შეიმუშავა წინადადებები უცხოეთის ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე პენსიების ერთმმართველობის ხელში დაქვემდებარების შესახებ.

ჩვენი პრობლემა საპენსიო საქმეების მოწესრიგებაა. როგორც იცით, ინფლაციის გამო პენსიები იძულებით იზრდება. მარტო წელს 6-ჯერ მოხდა პენსიების გადაანგარიშება მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიისათვის. დავალებებს ველარ აუდივართ, ამიტომ არასპეციალისტ მუშაკებსაც ვიხმართ, რის გამოც არ არის გამორიცხული დარღვევები, როგორც იტყვიან, კომპიუტერულ ტექნიკაშია. იგი შეძენილია და იმედი გვაქვს, რომ ამ პრობლემას მალე მოივლება.

— თქვენამდე, ბატონო ზურაბ, აფხაზეთის ცენტრალური ბანკის თავმჯდომარე სვეტლანა შანბა გვესაუბრა. გვითხრა, ომის მძიმე პირობების მიუხედავად ბანკი ნორმალურად მუშაობსო. დროულად აწარმოებს მოსამსახურეთა ხელფასების გაცემას. პენსიის გაცემა კი თქვენი სამინისტროს მეშვეობით რეგულირდებაო. როგორია თქვენი დამოკიდებულება ბანკთან?

— პრობლემური, და აი, რატომ. საპენსიო ფონდის ანგარიშზე ფულის ნაკლებობა გამოწვეულია ბანკში არსებული შემდეგი კანონის დარღვევით — ხელფასი არ გაიცემა, თუ საპენსიო ფონდში მთავრობის მიერ დადგენილი პროცენტი არ გადაირიცხება. სამინისტროს ანალიზის მიხედვით, აფხაზეთში ამ წესის დარღვევის გამო დაახლოებით 120 მილიონი მანეთი დაგვაკლდა. გულისტკივილით უნდა ვთქვათ ისიც, რომ აფხაზეთის ბიზნესმენებს თავისი ნებით სოციალურად ყველაზე დაუცველი ფენის დასახმარებლად ფული ჯერაც არ გადაურიცხავთ. კარგად გვესმის, რომ ბიზნესი უნდა განვითარდეს, მაგრამ კარგმა ბიზნესმენმა ხალხზე უნდა იზრუნოს. აფხაზეთს თავისი საპენსიო ფონდიც აქვს, რომელიც ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით მარტში ჩამოყალიბდა, მაგრამ მისი სრულყოფილად ამოქმედება ვერაფრით ვერ მოხერხდა. იმედია, იგი საქართველოს საპენსიო ფონდის დირექტორის ოთარ ხუფენიას დახმარებით სტაბილიზაციის შემდეგ ამუშავდება სრული დატვირთვით, მანამდე კი ბიზნესმენები უნდა მოგვეხმარონ. სიკეთის გაღება არავის აწყენს.

— შეიძლება ამის დრო ახლა არც იყოს, მაგრამ უმუშევრობაზე ხომ არ გვეტყოდით რამეს?

— სამინისტროს ერთადერთი მიღწევად შრომის ბირჟის ანუ დასაქმების სამსახურების სისტემის შექმნა შეიძლება ჩაითვალოს. იგი დღევანდელ სიტუაციაში ნაწილობრივ ხსნის უმუშევრობის პრობლემას. ამ ბირჟების მეშვეობით წელს 600 ათასი მანეთის შემწეობა და დახმარება გაიცა. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ [illegible] შეძლებისდაგვარად [illegible] უმუშევართა [illegible]. პენსიებისგან განსხვავებით ამ ეტაპზე უმუშევართა პრობლემა არსებითად მოხსნილია. სამწუხაროდ, პერსპექტივაში მან შეიძლება გლობალური სახე მიიღოს, რადგან საბაზრო ეკონომიკა, უცხოეთის ქვეყნების მსგავსად, ამ პრობლემას უმძაფრესად დააყენებს. შეიძლება ითქვას, ჩვენ ამისთვის უკვე საქმიანად ვემზადებით. ამ გზაზე პირველი გადადგმული ნაბიჯი იქნება ის, რომ ომის დამთავრების შემდეგ დავიწყებთ უცხოეთის ქვეყნებში ჩვენს მოქალაქეთა სამუშაოდ გაგზავნას. ამ სამუშაოს უძღვება სამინისტროს საერთაშორისო განყოფილება სოხუმელი ისტორიკოს [illegible] ხელმძღვანელობით. საერთოდ კი მინდა ვთქვა, რომ საკმაოდ მომზადებული და კვალიფიციური კადრები გვყავს.

მოგახსენებთ, ჩვენი სამინისტრო ექვსი თვეა მუშაობს. ამ ხნის მანძილზე ჩამოყალიბდა მისი სტრუქტურები. ექვსიდან სამი თვე ომია. საოცარია, რომ სხვა, წლობით დამკვიდრებული სამინისტროებისგან განსხვავებით ჩვენ ომის უმძიმეს გამოცდასაც გავუძელით — სისტემა დაღუპვისა და ნგრევისაგან ვიხსენით.

ია კალანდარიშვილი.

რედაქციისაგან: ვიდრე მასალა დაიბეჭდებოდა, დაგვიკავშირდით სოხუმს, საიდანაც გვაცნობეს, რომ აღნიშნული სამინისტრო ორ ნაწილად გაიყო: სოციალური უზრუნველყოფისა და შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროებად. ბატონი ზურაბ ლაკერბაია შრომისა და სოციალური დაცვის მინისტრია.

აბიტურიენტთა საყურადღებოდ!

დაიწყო მსმენელთა მიღება თბილისის უცხოურ ენათა ინსტიტუტთან არსებულ მოსამზადებელ კურსებზე.
უცხოური ენის სწავლება გაძლიერებულია (წლიური გადასახადი 1.560 მანეთი).

მოგვმართეთ:
ილია ჭავჭავაძის პრ. 45,
ტელეფონი 22-50-92

მრავალდარგოვანი ფირმის
«ერთობა-92»-ის
ტურისტული ბიურო
გთავაზობთ:

მოგზაურობას შემდეგ ქვეყნებში:
პოლონეთი, ჩეხეთი, რუმინეთი, უნგრეთი, ავსტრია, არაბთა საემიროები, პაკისტანი, ირანი.

ჩვენი მისამართია:
თბილისი კუტუზოვის ქუჩა 4-ა
☎
38 49 21
38 49 31
38 37 23

თავდადებულნი

თამაზ ებანოიძე.

ეს წერილი მარტო თქვენი ხსოვნისა არ არის, არჩილ და მალხაზ — აჩიკო და მახო! შრომასა თუ ახალშენთან ბრძოლაში სამ ნოემბერს თქვენ ცოტანი იყავით, თითქმის ოთხი ათეული კაცი, მაგრამ ერთი სულისკვეთებით გამსჭვალულნი, მართლა ერთნაირი ცეცხლით გულაგიზგიზებულნი — თბილისელები, კახელები, სოხუმელები, ახალშენელიც გერიათ თურმე. მხოლოდ რამდენიმე გადარჩა — აი, რად გვიჯდება ხოლმე ერთი გადაგვარებული ქართველი კაცის მუხანათობა...

• • •

სამი მეგობარი — ერთასაკოვანი არჩილ ამაღლობელი და მალხაზ დოლიძე, მათზე ორიოდე წლით უფროსი ზაზა სალუქვაძე, ისინი სხვადასხვანაირნი იყვნენ, მაგრამ საერთოც ბევრი რამ ჰქონდათ: ფიზიკოსი მამების შვილები იყვნენ თავადაც ფიზიკოსები, ნიჭიერები, მეცნიერებათა კანდიდატები, ზნეკეთილ ოჯახებში აღზრდილნი... ზაზა — ექსპერიმენტატორი, არჩილი და მალხაზი თეორეტიკოსები იყვნენ... ზაზა დაოჯახებულია, პატარა შვილიც ჰყავს. არჩილმა და მალხაზმა ვერ მოასწრეს.

არჩილი და მალხაზი ლამის აკვნიდან მეგობრობდნენ, ერთ ფაკულტეტზე, ერთ კურსზე, ერთ ჯგუფში სწავლობდნენ, ერთ მერხს ესხდნენ. სწავლისა და წიგნების გარდა უყვარდათ სპორტი — მეტრსა და ოთხმოცდაათ სანტიმეტრს აცილებული არჩილი კარგი კალათბურთელი გახლდათ, შედარებით ტანმორჩილი მალხაზი — კარგი მოთხილამურე. ფიზიკური შრომაც უყვარდათ, სტუდენტურ არდადეგებს ექსპედიციებში ატარებდნენ — ისტორიული ძეგლების რესტავრაცია იქნებოდა, ეკლესიების მიხედვა თუ ტერასების გაშენება. განებივრებულები, მამების სახელებს ამოფარებულები არასოდეს ყოფილან, მეცნიერებაში იოლი გზები არ უძებნიათ — მძლავრი ფიზიკური სკოლების წრთობა გაიარეს დუბნაში, პროტვინოში...

• • •

ეს დღეები ამ ბიჭებით ვიყავი „აყვანილი". ფეხები უკან მრჩებოდა და მაინც მივედი მათი მშობლების დარდჩამდგარ ოჯახებში, შევხვდი ან ტელეფონით ვესაუბრე მათ მეცნიერ ხელმძღვანელებს, სამსახურებრივ უფროსებს. ღმერთო, რა ბიჭები ყოფილან, რა სხვანაირები, რა გამორჩეულებიც!

შიში არ ჩამდგარა იმათ თვალებში

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი აკაკი ლიპარტელიანი:

არჩილ ამაღლობელი ჩემთვის მხოლოდ მოწაფე არ იყო, იგი პირველ რიგში თანამოაზრე იყო, ტოლფასოვანი და სასარგებლო კოლეგა, რომლისგანაც ბევრი რამ ვისწავლე. არჩილმა ამ ზაფხულს დაიცვა საკანდიდატო და შემოდგომაზე ჩვენ ერთობლივად მოვკიდეთ ხელი ახალ ამოცანას. ჩვენ თანამოაზრეები ვიყავით, მაგრამ ხშირად მწვავე შეხლა-შემოხლაც მოგვსვლია და მე არ მაგონდება, არც ერთი შემთხვევა, რომელიმე ჩვენგანი ნაწყენი რომ დარჩენილიყო. ეს მისი იშვიათი ტაქტისა და დიდსულოვნების შედეგი გახლდათ. უნდა გავიხსენო არჩილის პიროვნებისთვის დამახასიათებელი ასეთი ეპიზოდი: მას ხარისხის დაცვა შეეძლო მხოლოდ ერთი ხელმძღვანელით, პროფესორ გენადი ვოლკოვით. ფორმალური მხრივ ეს უფრო პრესტიჟული იქნებოდა, მაგრამ მან თანახელმძღვანელობის პატივი შემომთავაზა, თავისი შემოქმედებითი წარმატება კიდევ ერთ ადამიანთან გაიზიარა...

დარწმუნებული ვარ, საკანდიდატო დისერტაცია მხოლოდ ერთი ფორმალური საფეხური იქნებოდა მის უდროოდ შეწყვეტილ სამეცნიერო მოღვაწეობაში. ამის თქმის საფუძველს მაძლევს არჩილის ნიჭი, შრომისუნარიანობა და, რაც მთავარია, განწყობა, რომლითაც შემოდგომის დასაწყისში მოვიდა: ეს გახლდათ ახალგაზრდა კაცი, დისერტაციის დაცვასთან დაკავშირებული ქაღალდების მოგროვებით გაბეზრებული და ნამდვილ საქმეს მოწყურებული. ახალი გეგმები ჰქონდა ეგრეთ წოდებული იშვიათი დაშლების პრობლემის გარშემო. სპეციალისტებმა უწყიან, რაოდენ აქტუალურია ეს თემატიკა.

ქართულმა ფიზიკურმა მეცნიერებამ არჩილ ამაღლობელის სახით დაკარგა ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული მკვლევარი. პირადი შეხვედრების კვალდაკვალ მინდა დავიმოწმო ის შეფასებები, რომლებიც არაერთხელ მომისმენია პროფესორ გ. ვოლკოვისგან, აგრეთვე აკადემიკოს ალბერტ თავხელიძის ხელმოწერილი რეკომენდაცია იტალიაში ტრიესტის თეორიული ფიზიკის საერთაშორისო ცენტრში მისავლინებლად. არადა, ჩემთვის ცნობილ ფიზიკოსთა შორის ეს ორი მეცნიერი, საერთოდ, ერთობ თავშეკავებულია შეფასებებში...

არჩილი სიკეთის განსახიერება გახლდათ, ნატიფი ქართული თავაზიანობითა და დახვეწილი გარეგნობით გამორჩეული, ურთიერთობაში ძალზე ბუნებრივი, ყველა ასაკის კაცისთვის თანაბრად სიმპათიური...

პროფესორი ანზორ ხელაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი ფიზიკის კათედრის გამგე:

განსაკუთრებით მინდა გამოვყო მალხაზ დოლიძის მოქალაქეობრიობა. დღეს ახალგაზრდა მკვლევართა ნაწილი, მათ შორის საკმაოდ ნიჭიერთა, უფრო საკუთარი მეცნიერული პრობლემებით, საკუთარ მეცნიერულ კეთილდღეობაზე ზრუნვით არის დაკავებული (ვგულისხმობ დისერტაციების დაცვას, შრომების გამოქვეყნებას, საზღვარგარეთ გამგზავრებას და სხვა). ამ დროს ხშირად უმუშავდებათ გარკვეული ეგოიზმი, სტუდენტი ახალგაზრდობის პედაგოგიური თუ მეცნიერული აღზრდის მიმართ გულგრილნი ხდებიან. მალხაზი ბედნიერი გამონაკლისი გახლდათ. პედაგოგიური მოღვაწეობისადმი მას დიდი მიდრეკილება ჰქონდა, ჰქონდა ახალგაზრდებთან მუშაობის დიდი მოთხოვნილება. უყვარდა სტუდენტებში ტრიალი და, სხვათა შორის, არც საკუთარი შეცდომების აღიარებისა ეშინოდა. მალხაზს შეგნებული ჰქონდა, რომ სირცხვილი როდია მოწაფემ დაინახოს, შენც რომ მასავით „მოკვდავი" ხარ, რომ დღეს თუ მე შენზე მეტი ვიცი, ხვალ შეიძლება პირიქით მოხდეს. სტუდენტებს შორის მოპოვებული ავტორიტეტი, მათი სიყვარული, აი ის ჯილდო, რომლის დამსახურება მან 3-4 წელიწადში მოასწრო. ფართო იყო მისი პედაგოგიური დიაპაზონი — კითხულობდა თეორიულ მექანიკას, ელემენტარულ ნაწილთა თეორიის სპეციალურ თავებს. მალხაზ დოლიძემ მოამზადა „თანამედროვე გეომეტრიის კურსი ფიზიკოსებისთვის" და დაიწყო კიდევაც ლექციების კითხვა. მისი ჩინებული ქართულით დაწერილი ლექციების კურსი სამ საერთო რვეულშია გადმოცემული ყველა საჭირო განმარტებით, ძირითადი დებულებებით, ტიპური ამოცანების გადაწყვეტით. მალხაზ დოლიძემ ვერ მოასწრო კურსის დასრულება, ისევე, როგორც მრავალი ჩანაფიქრის ხორცშესხმა; ჩვენ არ დავკარგავთ, რაც დაგვიტოვა, უთუოდ გამოვცემთ მის კონსპექტს.

მალხაზ დოლიძე, განათლებით თეორეტიკოსი, მჭიდროდ იყო დაკავშირებული ერთ-ერთ წამყვან ექსპერიმენტულ ჯგუფთან. მას რამდენიმე ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული ფრიად ავტორიტეტულ უცხოურ ჟურნალებში, ამას წინათ ვლადივოსტოკში გამართულ ბირთვული რეაქციების საერთაშორისო კონფერენციაზე გამოვიდა მოხსენებით, სამწუხაროდ, უკანასკნელად.

ყველაფრით გამორჩეული ახალგაზრდა ადამიანები მაინცდამაინც უნდა დაიხოცონ, რომ საზოგადოებრიობამ მათზე რაიმე შეიტყოს? რატომ იწერება ცოტა ასეთებზე?

• • •

მივედი, მაგრამ რითი მენუგეშებინა გულმკვდარი დედა, ქალბატონი ქეთევანი, რომელსაც სამიოდე წლის წინათ ტყუპისცალი კახა თბილისში, ბოტანიკურ ბაღში კლდემსვლელური ვარჯიშისას დაეღუპა, ახლახან უფროსი ვაჟი მალხაზი დამარხა, ერთადერთ დარჩენილ შვილს, უკვე ნაომარ ტყუპისცალ გელას კი თვალი ისევ აფხაზეთისკენ უჭირავს.

მივედი, მაგრამ რით მენუგეშებინა მეორე გულმკვდარი დედა, ქალბატონი მერი, რომელმაც ძლივს მიუსწრო თბილისიდან აფხაზეთს მიმავალი ავტობუსების კოლონას, სადაც შვილი ეგულებოდა, და „შეშინებულ" აჩიკოს — დედაჩემი ჩემს ჩამოსასმელად ხომ არ მოვიდაო — ცრემლიანი ხმით უთხრა: არა, შვილო, შენს დასალოცად, ყველას დასალოცად, თქვენი გზის დასალოცად მოვედიო.

რითი მენუგეშებინა ჩემი სტუდენტობისდროინდელი ამხანაგები გურამი და ნოდარი, უსაშველო წუხილს გულში ვაჟკაცურად რომ იკლავენ და სიგარეტს სიგარეტზე ეწევიან? რა მეთქვა?

• • •

ომში მონაწილეობა ბიჭებს გვარდიის, მხედრიონის, რომელიმე სახელობითი შენაერთის რიგებში არ უცდიათ. ისინი კომისარიატში გამოცხადდნენ — მოგვამზადებენ და ისე წავალთო. ცოტა გაუკვირდათ, მოხალისეთა სიმრავლე რომ ვერ შენიშნეს. — ჩვენ პროგრამირება, კოდირება, კომპიუტერები, ტრაექტორიების გათვლები ვიცით, ყოველგვარი ინსტრუქციის ათვისება შეგვიძლია, საჰაერო თავდაცვის ან სხვა რომელიმე სპეციალური ხაზით ხომ არ გამოგვიყენებთო, — მიმართეს სამხედროებს. ასეთი ამბებისთვის ჯერ მზად არა ვართ. მერე დაგიძახებთო, — უპასუხიათ. აფხაზეთს გამგზავრებას თუ არ იშლით, ჯერ ახალციხეში გაიარეთ მომზადებაო. მერე აქედან გორში გადაიყვანეს.

• • •

ბოლოს სოხუმის ახლოს, ახალშენის პოზიციაზე რომ დადგნენ, არჩილს მეთაურობის უნარი გამოაჩნდა და ათმეთაური გახდა, თუმცა განაყოფში ექვსი კაციღა ჰყავდა. სულ პოზიციაზე ტრიალებდა, სულ რაღაცას აწესრიგებდა.

• • •

ახალშენის პოზიციას მოულოდნელად დაემუქრა მომაკვდინებელი საფრთხე. მრავალრიცხოვანი მტერი იქ გამოჩნდა, სადაც არ ელოდნენ. „შიში ვერ დავინახე მაგათ თვალებში, თორემ ბრძოლას არ მივიღებდი, დავიხევდიო". — იტყვის მერე რაზმის ჭარმაგი მეთაური, გამოცდილი სამხედრო კაცი, სასწაულად გადარჩენილი ვახტანგ ვახტანგიშვილი. მაშველი ძალების გამოძახება რომ გახდა საჭირო, მალხაზი ზაზას მიუბრუნდა თურმე — შენ ხომ არ წახვალ შტაბშიო (ოჯახის პატრონ მეგობარს გადარჩენის მეტი შანსი რომ ჰქონოდა). „უდისციპლინო" ზაზას ცივი უარი უთქვია, მაშველის მოხმობა კი საჭირო იყო და მალხაზი დაშვებულა ქვემოთ. გზად ავტომანქანით მომავალი 13 თავისიანი შეხვედრია. ავტომობილზე შემხტარა, მათთან ერთად გამობრუნებულა, მათთან ერთად უკვე გახურებულ ბრძოლაში ჩაბმულა და მათთან ერთად დაღუპულა...

მაღლობზე მთელი თავისი ზორბა ტანით წამომართული არჩილი, სროლით იგერიებდა ქვემოდან, აღმართზე შემომტევებს, და ასე მოცელეს...

ზაზა, ღვთის შეწევნით, გადაურჩა 3 ნოემბრის ჯოჯოხეთს, მერე მეგობრების ცხედრებსაც მიხედა, და თუ შურისძიება და სისხლის აღება, შურსაც იძიებს და სისხლსაც აიღებს; ისე როგორც მალხაზის უმცროსი ძმა გელა, აფხაზეთში ორჯერ დაჭრილი და კვლავ წასასვლელად აბორგებული, ორმოცის მერე თბილისში რა გამაჩერებსო, რომ ამბობს.

სანამ ცხედრების მიხედვის შესაძლებლობა მიეცემოდათ, ურჯულოებს მოესწროთ და მორწმუნე ბიჭების მკერდებიდან ჯვრები აეხსნათ.

• • •

საგანგებოდ უნდა ითქვას, შრომა-ახალშენის 3 ნოემბრის ბრძოლის წმინდა სამხედრო მნიშვნელობაზე. გამოუცდელობის, მცირერიცხოვნების მიუხედავად, მშიერი, მწყურვალი, ჩაუცმელი, დაუხურავი, შეციებული ოცდაათიოდე კაცი თითქმის ერთი საათი აკავებდა 300-მდე მომხდურს. მაშველი ძალების მოსვლამდე მათ იგებ სოხუმში მტრის შეჭრას შეუშალეს ხელი და მძიმე სიტუაციისგან იხსნეს. მერმე იმ 300 მომხდურიდან ამის წამლებიც არ გაუშვიათ..

ნოდარ ამაღლობელმა, გურამ დოლიძემ, რევაზ სალუქვაძემ მშობლის მაღალი ზნეობრიობის მაგალითი იმითაც მოგვცეს, რომ შვილების ფრონტზე წასვლას წინ არ გადასდგომიან და არც უცდიათ (ასეთ ბიჭებს ვერც გადაათქმევინებდნენ). მათი მაგალითით ხალხმა იწამა, რომ აფხაზეთში „დიდკაცების" შვილებიც იბრძვიან, სისხლს ღვრიან, ბრძოლის ველზე იღუპებიან. ხალხს ეს რწმენა სჭირდებოდა...

ზემოთ აკაკი ლიპარტელიანის ნათქვამს ერთი ნაწილი მოვაკვეცე, დასასრულისათვის მოვიტოვე:

„ქვეყანა დალაგდება, მოვა დრო, ძველებურად და კიდევ უფრო ინტენსიურად გაიმართება სამეცნიერო სემინარები თუ სიმპოზიუმები სტუმარ ფიზიკოსთა მონაწილეობით, ველის კვანტური თეორიის ან მაღალი ენერგიების ფიზიკის დარგებში. რომელიმე ფორუმს სამშობლოსთვის დაღუპული ვაჟკაცებისა და განუყრელი მეგობრების არჩილ ამაღლობელისა და მალხაზ დოლიძის სახელი უნდა ვუწოდოთ".

ვუწოდებთ!

საქართველოსთვის, ბიჭებო, სწორდით!

გვირილები.

ბორის ალექსანდრიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

როგორ დაკაცებულან!

აკაკი სიხარულიძე.

ღმერთო მაღალო მიეც გაძლების ძალა ომში წასული ბიჭების დედებს—ასე ძალუმად რომ უძგერებდნენ გულებს სამშობლოს სიყვარულით, მაღალი ეროვნული შეგრძნებით, ყოველივე იმის ძლიერი განცდით, რაც წაადგებოდა ხალხსა და ქვეყანას.

აგერ, ახლახან არ იყო, ამ პირტიტველა ბიჭებს დედები ჭირაც ზრდადაუსრულებლად რომ თვლიდნენ? მალულად თუ ხილულად ფანჯრებიდან უთვალთვალებდნენ ეზოში, სადარბაზოებთან მდგარ, სახლის კიბეებზე ჩამომჯდარ შვილებს. საათს დახედავდნენ, გვიანაო, იტყოდნენ თავისთვის და შინ შემოსასვლელად უხმობდნენ.

მაგრამ, იმდენად ძლიერი ყოფილა მათ გულებს ჩაჭიდებული მამულის გრძნობა, იმისი განცდა — რა ფასად დაუჯდა შთამომავლობას ეს „ცა ფირუზხმელეთ ზურმუხტი" ქვეყნისა და ერის გადარჩენა, რომ სამშობლოს პირველი დაძახებისთანავე უყოყმანოდ ჩადგნენ მის დამცველთა რიგებში. იარაღის ტარებას მიუჩვეველნი, გაჭირვებაში გამოუცდელნი წავიდნენ იქ, სადაც მამულს უჭირდა: შიდა ქართლსა და აფხაზეთში! ეს იყო მამა-პაპათაგან გადმოსული სახალხო საქმისადმი თავდადებული ერთგულებაც და იმის შეგნებაც, რომ — შენს ვალს სამშობლოს წინაშე, შენს მაგივრად სხვა ვერავინ აღასრულებს.

წავიდნენ და ახლაც მიდიან წინაპართა ძლიერებით ძალმოსილები. ისტორიის შორეთიდან ქარს მოაქვს მოძალადე თურქ-ოსმალთა, მონღოლთა და სპარსთა უთვალავ ლაშქარს შეჭიდებული ქართველების ცხენთა თქარუნის ექო: ჰაი დედასა, რა ვაჟკაცები აღლევებდნენ ხმლებს და რა მძვინვარე ათასწლეულებმა ჩაიარეს საქართველოს გზებზე.

ვინ იცის, ეს მერამდენედ ისტუმრებს ომში მიმავალთ მთის კორტოხზე ამაყად გადმომდგარი ქართვლის დედა.

„ერთ შვილ ხო მაინც გაგზარდე ვეფხვებთან მეომარია", — აგულიანებს ბიჭებს გზის პირად აღმართული „ვეფხისა და მოყმის" ქანდაკება.

მაგრამ, ვაი რომ, ახლა ისინი მოძმეთაგან საკუთარი მიწის დასაცავადაც მიდიან.

ეხეც მცხეთა... სამშობლოს სიმტკიცის სიმბოლო... აქვეა ქართველთა ეროვნული სიამაყე — ჯვრის მონასტერი და სვეტიცხოველი.

შორიდან გამოჩნდა გორის ციხე — მრავალ ქარაშოტს გამოვლილი. იციან ბიჭებმა, რა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლების ამბები გარინდულა ამ მიწისქვეშ, რა გმირობა ჩაუდენიათ მამულიშვილებს. ალბათ, ამიტომაც აღუმართავთ აქ ლომზე ამხედრებული მზეჭაბუკი ხმლით ხელში — ქართველ ვაჟკაცთა გმირობის სიმბოლოდ.

მიდიან ომში ქართველები, სხვა ეროვნების ვაჟკაცები, რომელთაც საქართველო თავის სამშობლოდ, წიაღად და ღვიძლად გაუხდიათ.

იქნებ სხვა დროს ფეხიც კი არ დაუდგამს ზოგიერთ კახელს აფხაზეთის მიწაზე, მაგრამ მამულს ხომ გულით გრძნობენ და ხედავენ მისი შვილები, ამიტომაც მიდიან დინჯი და შეუვალი კახელები სამშობლოს დასაცავად.

მიდიან იმერლები ქუთაისიდან, ზესტაფონიდან, სამტრედიიდან, მიდიან ოზურგეთელები, ფეხზე დამდგარა მთელი გურია, მესხეთ-ჯავახეთი და აჭარა. მიდიან ბიჭები და ხმაშეწყობილად მღერიან ლაშქრულს. ერთად რომ არიან, იმიტომაც არის ასე ომახიანი სამშობლოს სადიდებელი, თორემ ვის გაუგია ერთი კაცი მღეროდეს ლაშქრულს.

სახალხო ლაშქარს უერთდებიან სვანები. სვანეთი ხომ შეუვალი სიმაგრე იყო მეორე მსოფლიო ომის დროს — მტერს რომ არ გადმოელახა საქართველოს საზღვრები. ახლაც ასეა, სრულიად საქართველოა სვანების ციხკარი და საფიცარი.

სამეგრელოც გამოჩნდა, თითქოს კოლხური მითებიდან და ლეგენდებიდან გადმოსულან ძველი ეგრისელები, რომლებიც ბერძნულ კოლონიებში არ აღრეულან, ასე მრავლად რომ არსებობდნენ შავი ზღვის სანაპიროზე, არც უცხო გემებს გაჰყოლიან გადაღმა ქვეყნებში. გაქურდული აიეტის, კოლხეთის სიმდიდრეს წაპოტინებული არგონავტების შურისმაძიებელთა სული გადმოსულა ამ ბიჭებში და მჯერა, არავის დაუთმობენ ჩვენს ლამაზ მთა-ველსა და წყალ-ჭალებს. ის, რაც ბოლო დროს მოხდა სამეგრელოში, ავად მოსაგონარი ღრუბელივით გადავა და გაიფანტება. საბრძოლველად მიმავალ სრულიად საქართველოს ლაშქარს, სამეგრელოს მოსახლეობა ცრემლნარევი სიხარულითა და იმედით ეგებება და ლოცვით აცილებს:

მამულო, საყვარელო...

— მშვიდობით დაგვიბრუნდით, მახარია, მშვიდობით!

ჩაიარეს სამეგრელოს გზები და მიადგნენ სამურზაყანოს — შეუდრეკელ ვაჟკაცთა საცხოვრისს. ეგებებიან ომში მიმავალთ გალში დაბანაკებული საჯარისო ნაწილები და მოსახლეობა.

სამურზაყანოდან იწყება საქართველოს ის მიწა-წყალი, რომელსაც აფხაზეთი ჰქვია.

გაგრასა და ლესელიძეში, ოჩამჩირესთან და სოხუმთან სიკვდილის პირისპირ იდგნენ უფროს თაობასთან ერთად ჩვენი ბიჭები სრულიად საქართველოდან. ასე იყო აგვისტოში, ოქტომბერში და დღემდე, ასე იქნება ომის დამთავრებამდე.

მაშინ გაგრისა და ლესელიძისათვის ბრძოლების დაწყების წინ რამდენმა ჩაბლუჯა აფხაზეთის მიწა, გულის ჯიბეში ჩაიდო და ასე ეკვეთა მტერს.

— და წაიქცა ერთი, მეორე...

— მაინც არ შეგარჩენენ ჩემს სისხლს — ეს იყო ბევრი მათგანის უკანასკნელი სიტყვები.

არც ახლა შერჩებათ, ბიჭებო მომხდურთ, ისე როგორც არასდროს შერჩენიათ!

ბევრი, ძალიან ბევრია სათქმელი ამ თავგანწირული ბიჭების შესახებ. მაგრამ ერთია, გამოვაცხადოთ მათი სახელები, საგმირო საქმეები ტელევიზიით, რადიოთი, გაზეთებით (თუმცა, ჯერ კიდევ რამდენი რამ არ ვიცით ზოგიერთ დაღუპულთა შესახებ). მეორე კი აქედანვე, ამ შეჭირვების ჟამიდანვე ვიფიქროთ ხალხის გულში ერთ მთლიან ძეგლადდგმულთაგან თითოეულის სახელის უკვდავყოფაზე: მათ მშობლიურ ქალაქებში, რაიონებში, სოფლებში უნდა დაიდგას მემორიალური დაფები, ვუწოდოთ მათი სახელები სოფლებს, სკოლებს, კულტურულ დაწესებულებებს, საზოგადოებრივ საკრებულო ადგილებს უნდა ამკობდეს მათი სურათები, სათითაოდ ჩამოვთვალოთ გვარები, რომ ბრძოლებში დაღვრილი სისხლისფერი ყვავილები მარად ამშვენებდნენ მათ სახელებს.

არც ისინი უნდა დავივიწყოთ, ვინც უგზო-უკვლოდ დაიკარგა, წმინდად უნდა შემოვუნახოთ შთამომავლობას ის ადგილები, სადაც გადამთიელები მხეცურად გაუსწორდნენ უდანაშაულო მოსახლეობას: ბავშვებს, ქალებს, კაცებს. ხომ ასე იყო მუდამ: ომსაც ჰქონდა თავისი კანონები. მტერსაც კაცურად ექცეოდნენ და ღირსებით იგებდნენ ბრძოლებს. აქ კი.. ისტორია უსათუოდ გაარკვევს ამ უთანასწორო ბრძოლების სახაკლაოდ გადაქცევის ამბავს.

დღეს ისევ ეწირებიან ქართულ მიწას ჩვენი ბიჭები — გიორგი და ბესიკი, მერაბი და ცოტნე, დიმიტრი და ერეკლე.

ნუ დავაყოვნებთ და შევქმნათ მხატვრული ნაწარმოებები მათ შესახებ, ვაჩვენოთ ისინი ბრძოლის ცეცხლოვანი ხაზიდან. მათი განუმეორებელი სულიერი სიმაღლე, გმირობა, ვაჟკაცობა. მაგრამ დრო აღარ იცდის, დღევანდელობა დღესვე უნდა აღიბეჭდოს. შევამკოთ მათი მხარ-მკლავები მხატვრობის ნიმუშებით; მუსიკალური ნაწარმოებებით.

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია უკვე შეუდგა მუშაობას ხსოვნის წიგნზე („უკვდავება"), სადაც მოთხრობილი იქნება თითოეული დაღუპული მეომრის ბიოგრაფია, საგმირო საქმეები. ვთხოვთ საზოგადოებრიობას, მშობლებს, ახლობლებს, საჯარისო შენაერთებს დახმარებას — არ უნდა გამოგვრჩეს ჩვენგან წასული არც ერთი მეომარი, შეგვეხმიანეთ!

მერე კი, როცა დამთავრდება ეს საშინელება, გადარჩენილ ყველა მეომარს, სახალხო ლაშქრის მონაწილეს მოვუყაროთ თავი და დაღუპულთა სურათებთან ერთად გავატაროთ რუსთაველის გამზირზე, თბილისის განიერი ქუჩებით; ხალხმა უნდა დაინახოს ბრძოლებში როგორ დაკაცებულან ჩვენი ბიჭები.

უსათუოდ უნდა დავაწესოთ გაგრაში დატრიალებული ტრაგედიის ხსოვნის აღსანიშნავი დღე (როგორც 9 აპრილის დღე)! თაობები არ დაივიწყებენ სამშობლოსათვის თავგანწირულებს; შთამომავლობას გადასცემენ ქართველი კაცის ღირსებასა და თავდადებას, ომში თანადგომას, ერთად ბრძოლისა და ერთად ყოფნის ამბავს. სწორედ ამიტომაც არ უჭირია სიკვდილი საქართველოს, ჩვენს ხალხსა და ქვეყანას, რომელსაც ასეთი თავდადებული ახალგაზრდობა ჰყავს.

მუდამ თან დაგვაქვს ხატი...

ეთერ ბალაძე,
საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის კორესპონდენტი.

ჯერ კიდევ ვერ შევიგრძენით ომის სისასტიკე, უწვერულვაშო ბიჭები ეწირებიან სამშობლოს.

შევხვდი მეომრებს, რომლებიც წინა ხაზზე იბრძვიან. მძიმე სანგრული ცხოვრების მიუხედავად, საოცრად ამაღლებული განწყობა შერჩენიათ.

გადმოგცემთ მათ ფიქრებსა და განცდებს.

ჯონი ჭავჭავაძე: — ბრძოლის საკმაო გამოცდილება მაქვს, ვიბრძოდი ცხინვალში, პირველი დღეებიდანვე აფხაზეთში ვარ, ერთ-ერთ ასეულს ვმეთაურობ.

24 დეკემბერს დაბადების დღე მაქვს, მაგრამ ჩემი დაბადების დღე მაშინ იქნება, როდესაც გავიმარჯვებთ. ვფიქრობ, ვიქნები თუ არა ცოცხალი ამ დროისათვის, ვფიქრობ სიცოცხლეზეც, მაგრამ დამარცხებას და შინ დაბრუნებას სიკვდილი მირჩევნია. თუ ვერ გავიმარჯვებთ, მიჯობს მეც იქ დავეცე, სადაც ჩემი მეგობრები დაიღუპნენ. ვიბრძოლებ საბოლოო გამარჯვებამდე, სიკვდილის არ მეშინია.

რას ვინატრებდი? გამარჯვებას, სხვა რა უნდა ვინატრო.. იცით, კიდევ რას? — ნეტავ შვილი მყავდეს...

რომან ცანავა: — „თეთრი არწივის" მეომარი ვარ. გაგრაში 22 დღე ვიყავი ალყაში, იქ ბევრი ჩვენი თანამებრძოლი დავტოვეთ, რომელთაც საფლავიც არ ღირსებია. ჩვენი ბიჭების ცხედრები ჯერ კიდევ ტყეშია, აბა, ამის შემდეგ როგორ ვიქნები.

სომეხმა მწყემსებმა გადაგვარჩინეს, გაგრაში ტყვეობისას, როდესაც ჩვენს წასაყვანად თვითმფრინავი გამოჩნდა, სიხარულისაგან ვტიროდით... ეჰ, ძნელია იმ დღეების გახსენება...

მე სოხუმელი კაცი ვარ და თბილისელების გვერდით ვდგავარ.

უპირველესად ჩვენ რწმენა გადაგვარჩენს, რწმენა უნდა ჰქონდეს ადამიანს, ჩვენი ჯვარი უნდა დავიცვათ, თან დაგვაქვს ხატი ბიჭებს. ამ ბრძოლაში რომ არ გავიმარჯვოთ, შეუძლებელია. იცოდეს ყველამ, რაოდენ მტკიცენი ვართ ქართველები...

აბა, სიცოცხლე რა არის, ჩემი საქართველოსთვის რომ დავიშურო...

მე მჯერა გამარჯვების, ღმერთსა ვთხოვ, ნუ მომკლავს ლესელიძემდე ჩასვლამდე, მაშინ მეორედ დავიბადები, მერე კი „მრავალჟამიერს" ვიმღერებ და თუნდაც მოვკვდები..

სოხუმიდან გემით ფოთისკენ მივემართებით. გემბანზე ლტოლვილები სხედან, უმეტესად ქალები, ბავშვები, მოხუცები, აქა-იქ ვაჟკაცებიც გამოერევა... დეკემბრის სუსხიანი დღეა. ლტოლვილებს ვესაუბრები. მათ იქვე მდგომ 14 წლის ბიჭზე მიმანიშნეს — აი, ეს არის გმირი და სწორედ მის შესახებ უნდა დაწეროო. გაგრაში იბრძოდა, ტყვეთაც იყო.., მოვუახლოვდი, უმაწვილმა თავის შესახებ არაფერი მითხრა, მხოლოდ ის გავიგე, რომ დათო ერქვა და ლტოლვილებს ეხმარებოდა ბარგის გადატანაში. მოგვიანებით შევიტყვე, რომ დათოს მშობლები და ძმა გაგრაში მოუკლეს...

ბიჭი ნაღვლიანად იდგა გემბანზე და გაჰყურებდა შორს დარჩენილ ნაპირს...

თუ მარტოდ დარჩენილმა ყმაწვილმა არაფერი მითხრა თავის შესახებ, ლტოლვილმა ქალებმა გამანდეს თავიანთი სატკივარი...

დარეჯან ჯანაშია: — არა, მე სოხუმს არ ვტოვებ, ისევ უნდა დავბრუნდე, ბავშვები ნათესავებთან გავხიზნე მარტვილში და ახლა ტანსაცმელი მიმაქვს. ჩემი მეუღლე წინა ხაზზე იბრძვის, ვაჟკაცმა სამშობლო უნდა დაიცვას. ყველამ უნდა ვიბრძოლოთ ჩვენი სამშობლოს გადასარჩენად, მისი თავისუფლებისათვის.

მეომრებისა და ლტოლვილების ნაამბობი

სამწუხაროდ, ერთიანობა გვაკლია, რატომ მიდიან ქალაქიდან ჯან-ღონით სავსე მამაკაცები, აბა, როგორ შეიძლება, ერთი იბრძოდეს და მეორე აღმა-დაღმა დადიოდეს?! იმედს არ ვკარგავ, რომ მშვიდობასთან ერთად ჩვენი ბიჭებიც დაგვიბრუნდებიან. ყველა დედას ვუსურვებ, არასოდეს ეტიროს თავისი შვილები...

ნატო კეკელიძე: — [illegible] სოხუმს. ჩემს სახლთანაც აფეთქდა ნაღმი, ძლივს გადავრჩი, ვერაფრის წამოღება ვერ მოვასწარი, ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ შვილები გადამირჩნენ.

საოცარია, მაგრამ გაჭირვების ჟამსაც ითბობენ ხელს. შეგვპირდნენ, რომ სოხუმიდან ფოთამდე უსასყიდლოდ გადმოგვიყვანდნენ, მე კი 500 მანეთი გადამახდევინეს. არ ვმუშაობ, ჩემი ქმარი გვარდიაშია, ნათესავები რომ არა, შვილები შიმშილით დამეხოცებოდა. მე მინდა ყველა ლტოლვილის სახელით ვთხოვო მთავრობას და ყველა იმას, ვისაც ეს საკითხი ეხება, დაეხმარონ ლტოლვილებს და უფასო მგზავრობა მაინც იყოს ჩვენთვის.

ნეტავ, მალე დამთავრდეს ყველაფერი და ჩემს ქალაქში დავბრუნდე. მივდივარ და მთელი სიცოცხლე აქ მრჩება.

გულსაკლავია 16 წლის უცნობი დათოს თვალებში ცქერა, ლტოლვილების საყვედურები, ტკივილი და, რაც მთავარია, ბრძოლის ველზე მყოფი მეომრების ცხოვრება. ყოველგვარი დახმარება უნდათ მეომრებსაც და ლტოლვილებსაც, როგორც მატერიალური, ასევე მორალური.

სხვა გაზეთებიდან

სომხეთის ხელმძღვანელებს საზღვარგარეთ დიდი ხნით არ უშვებენ

სომხეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატმა პარუირ აირიკიანმა პარლამენტის განსახილველად შეიტანა წინადადება, რომელიც ზღუდავს რესპუბლიკის ხელმძღვანელთა უფლებას გაემგზავრონ მუდმივ საცხოვრებლად საზღვარგარეთ, აგრეთვე გაიტანონ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მატერიალური ფასეულობანი.

დეპუტატის განცხადებისამებრ, აკრძალვა უნდა ვრცელდებოდეს რესპუბლიკის პრეზიდენტზე 25 წელიწადს, პრემიერ-მინისტრზე, გენერალურ პროკურორსა და პარლამენტის სპიკერზე — 20 წელიწადს, მინისტრებსა და დეპუტატებზე შესაბამისად — 15 და 10 წელიწადს. თავისი წინადადება აირიკიანმა რესპუბლიკაში დამკვიდრებული ქაოსისა და უმართაობის ატმოსფეროთი ახსნა. ამავე დროს სომხეთის პრეზიდენტის პრესსამსახურმა უარყო ამ ბოლო დღეებში გავრცელებული ჭორები, თითქოს ლევონ ტერ-პეტროსიანი ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში მიემგზავრებოდეს ხანგრძლივი მკურნალობის მიზნით.

„იზვესტია", № 270.

სოხუმი კი არა, სუხუმ

გუდაუთაში გამართულმა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს სესიამ განიხილა რესპუბლიკის დასახელებული პუნქტების ისტორიულ სახელწოდებათა აღდგენის საკითხი.

მაგალითად, აღდგენილია აფხაზეთის დედაქალაქის და მეშახტეთა ქალაქის სახელწოდებანი — სუხუმ და ტყუარჩელ (30-იანი წლების მეორე ნახევრიდან მათ გაქართულებული სახელი — სოხუმი და ტყვარჩელი ერქვათ). ქალაქის ტიპის დაბა განთიადს მიეკუთვნა ისტორიული ტოპონიმი — ცანდრიფშ, სოფლებს ლესელიძეს და ხეივანს, შესაბამისად — გერრიფშ და ამზარა.

ვიტალი შარია (გუდაუთა),
ჟურნალისტი

ამასობაში, თვალსა და ხელს შუა დაეკარგათ „კუ", როგორც აფხაზები აქამდე უწოდებდნენ სოხუმს.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ყველაზე ძვირიანი ქალაქი

არგენტინის დედაქალაქმა სიძვირით მეათე ადგილი დაიკავა მსოფლიოში და გაუსწრო ისეთ ქალაქებს, როგორიც არის ლონდონი, მადრიდი, ნიუ-იორკი, პარიზი და რომი.

ბუენოს-აირესში ერთი ბოთლი „პეპსი" ან მინერალური წყალი კაფეტერიაში ჯდება 2 დოლარი. დაახლოებით ამდენივე ღირს ფინჯანი ყავა. ნახევარლიტრიანი ლუდის ბოთლი მომხმარებელს სამი დოლარი დაუჯდება, ერთი ულუფა ნაყინი — 4 დოლარი. შედარებით იაფიანი ხორცის კერძები 6-დან 10 დოლარამდე ღირს, შემწვარი კარტოფილის გარნირი ან ბოსტნეულის სალათი მომხმარებელს დაახლოებით 4 დოლარი უჯდება.

ადგილობრივი ეკონომისტები, როცა სიძვირის პრობლემებს აანალიზებენ, ყურადღებას მიაპყრობენ იმ ფაქტსაც, რომ არგენტინელის საშუალო ხელფასი სამ-ოთხჯერ უფრო დაბალია, ვიდრე ისეთ ქვეყნებში, როგორიც არის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი.

გაიმართება პრეზიდენტისა და პარლამენტის ახალი არჩევნები

მას შემდეგ, რაც მიღებული იქნება სომხეთის ახალი კონსტიტუცია, რესპუბლიკაში გაიმართება პრეზიდენტისა და პარლამენტის ახალი არჩევნები. ეს განაცხადა სომხეთის პრეზიდენტმა ლევონ ტერ-პეტროსიანმა.

მან აღნიშნა, რომ სომხეთის ახალი ძირითადი კანონის მიღების საჭიროება ნაკარნახევია რესპუბლიკის შინაპოლიტიკურ ცხოვრებაში დაძაბულობის შენელების ინტერესებით. როგორც ლ. ტერ-პეტროსიანი მიიჩნევს, ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ ბოლო მოეღება „ხელისუფლების ცალკეულ ორგანოების ზედმეტ და საშიშ ბრძოლას და მათ მიერ ერთმანეთის უფლებამოსილებათა დაკისრებას".

სომხეთის ძირითადი კანონის პროექტს, რომელიც შეიმუშავა საკონსტიტუციო კომისიამ, წარუდგენენ პარლამენტს და გამოიტანენ საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.

გაეროს გენერალური ასამბლეის 47-ე სესიის რეზოლუცია

ამიერიდან ლატვიასა და ესტონეთში რუსულენოვანი მოსახლეობის უფლებათა საკითხს დაუწესდება საერთაშორისო გაერთიანების კონტროლი. ასეთია აზრი „ლატვიასა და ესტონეთში ადამიანის უფლებათა სფეროში შექმნილი ვითარების საკითხზე კონსენსუსის საფუძველზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 47-ე სესიის პლენარულ სხდომაზე ოთხშაბათს მიღებული რეზოლუციისა. ეს საკითხი შეიტანეს სესიის დღის წესრიგში როგორც მნიშვნელოვანი და სასწრაფო რუსეთის წინადადებით.

გიგანტური კელაპტარი

გიგანტური კელაპტარი აბრიალდა წუხელ იაპონიის ქალაქ ტოკუშიმის ლამაზად გაფორმებულ ცენტრალურ მოედანზე იამაგუჩის პრეფექტურაში, რომელმაც ხალხს აუწყა, რომ დაიწყო ტრადიციული ზამთრის ფესტივალი შობის წინ. ეს საშობაო კელაპტარი ყველაზე დიდია იაპონიაში ოდესმე ჩამოსხმულ ყველა სანთელთა შორის — მისი სიმაღლეა 4,8 მეტრი, დიამეტრი — 2,2 მეტრი, წონა კი 3,7 ტონა.

ეს კელაპტარი ჩამოასხეს ფირმა „ტოკუშიმა სეირის" ადგილობრივი სანთლის ქარხნის ოსტატებმა. ყოველდღიურად ალი კელაპტარს სულ ორი მილიმეტრით ამოკლებს, ასე რომ, თუ არ ჩააქრობ, ცეცხლი ექვსწელიწად-ნახევრის მანძილზე გაანათებს ქალაქის ცენტრალურ მოედანს. მაგრამ კელაპტარი უნდა ჩაქრეს საშობაო დღესასწაულების დამთავრებისთანავე, რის შემდეგაც იგი საპატიო ადგილს დაიკავებს ჩამომსხმელი ფირმის მუზეუმში.

გივი თოიძე—60

მხატვრის დიაპაზონი

ნოდარ ჯანბერიძე



გივი თოიძე მხატვრად დაიბადა. მოსე თოიძის ოჯახურ გარემოში გაზრდილ ყმაწვილს თავიდანვე დაჰყვა ფუნჯისა და მოლბერტის სიყვარულის საოცარი გრძნობა, რომელიც მაღალ ნიჭიერებასთან ერთად, შემდგომში გამოჩენილ მხატვრად აქცევს მას. მხატვრად, რომლის ნამუშევრებს დიდი ინტერესით ეცნობიან არა მარტო თავის სამშობლოში, არამედ რუსეთსა და ინგლისში, ესპანეთში და ბულგარეთში, უნგრეთსა და გერმანიაში, კანადაში, რუმინეთში, ჩეხოსლოვაკიაში, შვეციაში, იაპონიაში და ამერიკის შეერთებულ შტატებში... მას შემდეგ, რაც იგი სამხატვრო ასპარეზზე გამოვიდა ჩვენში არ მოწყობილა არც ერთი გამოფენა, გივი თოიძეს რომ არ მიეღოს მონაწილეობა. ასე იზრდებოდა არა მარტო მხატვრის შემოქმედებითი შესაძლებლობანი, არამედ ფართოვდებოდა მისი აღიარების გეოგრაფიული დიაპაზონიც და დღეს ჩვენს წინაშეა შემოქმედი, რომელმაც ქართული სახვითი ხელოვნების ისტორიაში დაიმკვიდრა თავისი მკვეთრად გამოხატული ადგილი.

გივი თოიძე 50-იანი წლების მიწურულსა და 60-იანი წლების დასაწყისში გამოდის შემოქმედებით ასპარეზზე. ეს ის წლებია, როცა ქართული მხატვრობა შესამჩნევად იცვლის თავის გზას, იწყებს სტერეოტიპების ნგრევასა და რეგლამენტირებული ხელოვნების მარწუხებიდან გამოსვლას. მხატვართა მთელი თაობა ცდილობს ხელოვნებაში გამეფებულ იდეოლოგიურ სიყალბეს დაუპირისპიროს ცხოვრებისეული სიმართლე, ცრუპათეტიკურობას — რეალური ყოფიერების ამსახველი სცენები. ფაქტობრივად, იწყება რღვევა ტოტალიტარულ სისტემის მიერ შექმნილი წარმოდგენებისა ხელოვნებისა და სინამდვილის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. გივი თოიძე ამ თაობის ერთი მკაფიო წარმომადგენელია და აღნიშნული ტენდენციების ერთგული რჩება ბოლომდე.

გივი თოიძე მტკიცედ დგას ქართულ მიწაზე, სიღნაღისა და პატარძეულის ადრინდელი პეიზაჟები უკვე ამის აშკარა გამომხატველია. ყოვლისმომცველ ნატვრისხედ ქცეული გარემო, სადაც მხატვარს ბავშვობა აქვს გატარებული, მშობლიური სახლის ინტიმურ შეგრძნებას და სურნელს გადმოსცემს, პოეტურად და ამაღლებულად გამოხატავს. მის სურათებზე სრულიად მარტივი და უბრალო ყოფითი საგნებიც კი ამაღლებულად მოჩანან, ახლებურ მნიშვნელობას იძენენ მრავლად წარმოდგენილ ნატურმორტებში.

სამშობლოს მხატვრული სახე — მედიდური მთები და მომხიბვლელი მინდორ-ველები, ციხე-სიმაგრეთა მკაცრი სილუეტები და ძველ ეკლესიათა რომანტიკული გამომსახველობა, სოფლის ყოველდღიური სცენები — პურისმცხობელი ქალებით და ნადირობიდან დაბრუნებული მამაკაცებით, შეყვარებული ახალგაზრდობა თუ დაუსრულებელ რიგებად გამწკრივებული ჯარისკაცები, მწყემსი ვაჟკაცები და შემოდგომის ბარაქით დამშვენებული მშრომელები ანდა ძველი თბილისის ქუჩაბანდებში მოფუსფუსე მოქალაქეთა ჯგუფები — ერთ მთლიანობაში კრავს მხატვრის მიერ შექმნილ დიდ სამყაროს, რომელსაც ერთი სათაყვანებელი სახელი, სამშობლო ჰქვია.

სამშობლოს ცნება ყველა ჟანრშია გამოხატული — მრავალფიგურიანი სურათი იქნება ეს, პეიზაჟი, პორტრეტი თუ ეთნოგრაფიული ნატურმორტი. ყველა ეს ნამუშევარი სხვადასხვაგვარად არის გადაწყვეტილი — ზოგჯერ ზედმიწევნით რეალისტური, სხვა დროს მეტად დეკორატიული და პირობით გადმოცემული, მაგრამ ყოველთვის შელამაზების გარეშე, ამაღლებული განწყობით შესრულებული.

მხატვარი თავის შემოქმედებაში დიდ ყურადღებას უთმობს ფიგუროვან კომპოზიციებს, ნატურმორტსა და პორტრეტსაც, მაგრამ მთავარი ალბათ მაინც პეიზაჟია — მისი ამორჩეული ჟანრი, რომელსაც იგი კვლავ და კვლავ უბრუნდება. მხატვარს შემოვლილი აქვს საქართველოს მრავალი კუთხე, დიდი სიყვარულით აქვს აღბეჭდილი კახეთი თუ ხევსურეთი, მაგრამ მთავარი მის შემოქმედებაში, განსაკუთრებით ბოლო პერიოდისა, თბილისია.

შეიძლება ითქვას, რომ თბილისის სიყვარულში გივი თოიძე ელენე ახვლედიანის მემკვიდრეა, მხატვარი ბევრს მუშაობს ნატურაზე, პლენერზე — მაგრამ არცერთი მისი კომპოზიცია არ არის ზუსტი ასახვა ნატურისა. იგი იგონებს, თხზავს, გარდაქმნის თვალით დანახულს და აღწევს განზოგადებას, თუმც ლოკალური ფორმით გადმოცემულს. აქ არა უშუალო მსგავსებაა, არამედ გახსნილია გამოსახულების ხასიათი შეფერადებული თავისი, მხატვრისეული განსაკუთრებული და განუმეორებელი კოლორიტით.

გივი თოიძის თბილისის პეიზაჟები თითქოს აჯამებს ყოველგვარ განცდილსა და ნანახს და სწორედ ამიტომ მისი სურათების ეს ციკლი გაჟღენთილია განუმეორებელი ინდივიდუალობით, თავისებურებით, მაგრამ ისე, რომ ყოველ სურათს სწორედ თბილისური სურნელი მოაქვს. აქ გადამწყვეტია სურათის ფერადოვნება, ფერი — მიმართული ფორმის პლასტიკური ძერწვისაკენ. სურათიდან სურათზე გადადის თითქოს სტერეოტიპამდე მისული კოლორიტული ჟღერადობა, მაგრამ ეს ფანტაზიის და მხატვრის შესაძლებლობათა სიღარიბე კი არ არის, არამედ მხატვრის ერთგულება და რწმენაა არჩეული გადაწყვეტისადმი. ასე გაჩნდა გაჯერებული, ზოგჯერ მჟახე ფერით მიღწეული ფერწერული ეფექტი, აშკარად „მისეული“ კოლორიტი, რომელსაც თვალი უცბად გამოარჩევს სხვა მხატვართა ნამუშევრებისაგან. ეს მხატვრის განსხვავებული, ინდივიდუალური ხელწერაა, მის მიერ ნაპოვნი ფერწერული ხერხები და საშუალებაა სამყაროს შეცნობის გადმოსაცემად, მრავალგზის განცდილი და მის შეგნებაში განმტკიცებული.

გივი თოიძის შემოქმედებითი გზა — თვითმყოფადი მხატვრის წარმატებული სვლაა.

საიუბილეო წერილები ტრადიციულად მომავალი შემოქმედებითი გამარჯვებების სურვილებით მთავრდება. დღეს მე მინდა მას, მთელი თავისი არსებით თანამედროვეობის იდეებითა და მისწრაფებებით გამსჭვალულ მხატვარს, ჩვენი ქვეყნის მტერზე გამარჯვება და ფრონტზე მოხალისედ წასული ვაჟის მშვიდობით დაბრუნება ვუსურვო.

სურათზე: გივი თოიძის „ძველი თბილისი“ (ჩუღურეთი).

სააგენტო „იბერია“ გვატყობინებს

თბილისი. 15 დეკემბერს თბილისის საგამოძიებო იზოლატორიდან ამიერკავკასიის სამხედრო დაჯგუფების სამხედრო ტრიბუნალის სხდომაზე ავტომანქანით გადაჰყავდათ 4 ბრალდებული. გაურკვეველ ვითარებაში ისინი თავს დაესხნენ მათ თანმხლებ შეიარაღებულ დაცვას, რომელიც იძულებული გახდა გაეხსნა ცეცხლი, შეტაკების შედეგად მოკლულია 2 ბრალდებული. ოლქის სამხედრო პროკურატურაში აღიძრა საქმე ამ ფაქტთან დაკავშირებით.

ამიერკავკასიის სამხედრო დაჯგუფების პრესცენტრის ცნობით, 15 დეკემბერს ბათუმში შეიარაღებული პირები თავს დაესხნენ სამხედრო ავტობუსს, რომელიც სამხედრო აეროდრომისაკენ რუსი ოფიცრების დასახვედრად მიემართებოდა. შეიარაღებულმა პირებმა სცემეს კაპიტან სერგეი კომაროვს, გაიტაცეს ავტობუსი და მიიმალნენ. დაიწყო საქმის გამოძიება.

ცოტა გაიღიმეთ

სარედაქციო ფოსტიდან

გვეკითხებიან, ვუპასუხებთ

სხვათა შორის, წინა ხელისუფლების დროინდელ საარქივო მასალებში ასეთი დოკუმენტიც ამოჩნდა. თურმე, 1991 წლის მაისში გაზეთ „იბერია-სპექტრის“ და დღემდე არარსებული ჟურნალის „ინტერვიუს“ რედაქციებმა გაზეთ „არქიტექტურა და მშენებლობის“ (მისი მაშინდელი რედაქტორის თანხმობით) ანგარიშზე ჩარიცხეს 30.000 მანეთი საგაზეთო ქაღალდის შესაძენად.

აღნიშნული თანხიდან 1991 წლის პირველ სამ თვეში არარსებულ ჟურნალ „ინტერვიუს“ და გაზეთ „იბერია-სპექტრის“ თანამშრომლებზე გაზეთ „არქიტექტურა და მშენებლობის“ რედაქციის ბუღალტერიამ თავისივე ანგარიშიდან ხელფასისა და ჰონორარის სახით გასცა 12.243 მანეთი და 65 კაპიკი (უწყისები ინახება „არქიტექტურისა და მშენებლობის“ რედაქციაში). გარდა ამისა, სამი თვის განმავლობაში „იბერია-სპექტრი“ იბეჭდებოდა გაზეთ „არქიტექტურა და მშენებლობის“ რედაქციის კუთვნილ ქაღალდზე (სულ ამ ხნის განმავლობაში დახარჯულია 3904 კგ ქაღალდი, რომელიც გაცემული იყო სესხის სახით).

გაზეთ „არქიტექტურა და მშენებლობის“ რედაქცია გვეკითხება: სად აღარ დავაყენეთ საკითხი, რომ გაზეთ „იბერია-სპექტრის“ რედაქციამ ქაღალდის ვალი ნატურით დაგვიბრუნოს, მაგრამ ვერაფერს მივაღწიეთ. უმორჩილესად გთხოვთ, გვიპასუხოთ, როგორ მოვიქცეთ?

პასუხი: დაელოდეთ გაქცეული ხელისუფლების დაბრუნებას, რომლის დროსაც აღნიშნული ურთიერთხელსაყრელი გარიგება დაიდო. უნდა ვივარაუდოთ, რომ მანამდე დივერსანტები მოასწრებენ მთელ საქართველოს ტერიტორიაზე რკინიგზის აყრას, „იბერიასპექტრელები“ კი ამასობაში ქაღალდს ენგურიდან თბილისამდე ხელით ჩამოაგორებენ და ვალს ნატურით გაგისტუმრებენ. ამასთან, თქვენ, როგორც წესია, მოგიწევთ მათი შრომის ხელფასით ანაზღაურება. გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

ხომ არ დაგავიწყდათ

ჩვენი გაზეთის გამოწერა?

თუ გინდათ, რომ ცხოვრებას არ ჩამორჩეთ და ყველაფერი იცოდეთ, რაც დედამიწის ზურგზე ხდება, გამოიწერეთ ყველაზე იაფი ყოველდღიური ქართული გაზეთი

საქართველოს რესპუბლიკა

ხელმოწერის დამთავრებამდე

მხოლოდ 2 დღე დარჩა!

შეგახსენებთ, რომ მათ, ვისაც დამატებითი ხელმოწერის გამო გადახდილი აქვს 110 ან 88 მანეთი, ეს თანხა 1993 წლის ხელმოწერის ღირებულებაში ჩაეთვლებათ.

ნოდარ ახალკაცი:

„ჩემპიონატი ბოლომდე უნდა მივიყვანოთ!“

ახლახან დამთავრებული მეოთხე ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის შუქ-ჩრდილებსა და პერსპექტივებზე გვესაუბრება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი:

— ბატონო ნოდარ, თქვენი აზრით რამდენად ობიექტურად განლაგდნენ გუნდები ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის სატურნირო ცხრილში?

— გუნდების მომზადების ამჟამინდელი დონე, ვფიქრობ, რეალურად აისახა სატურნირო ცხრილში... უნდა გითხრათ, რომ გამოიკვეთა დადებითი ტენდენცია — ისეთი ცნობილი, გამოცდილი მწვრთნელების გვერდით, როგორებიც არიან რევაზ ძოძუაშვილი („დინამო“), გივი ნოდია („გორდა“), შოთა ჭეიშვილი („ბათუმი“), გურამ გაბუნია („დილა“), გიგა ნორაკიძე („ტორპედო“), მურთაზ ხურცილავა („შევარდენი-1906“), მონდომებით, დამოუკიდებლად მუშაობენ ახალგაზრდა სპეციალისტები — სოსო ფილია („კოლხეთი-1913“), რომელსაც ალბათ ერთ-ერთ ნაკრებში მივიწვევთ, რეზო ბურკაძე („ტორპედო“), თემურ მახარაძე („კახეთი“) და პირველი ლიგის ლიდერის — „ანცის“ მწვრთნელი გაიოზ დარსაძე...

ამ ახალგაზრდებისათვის ფეხბურთის ფედერაციას რაიმე განსაკუთრებული პირობები არ შეუქმნია, მომავალში მათ ყოველმხრივ შევუწყობთ ხელს დაოსტატებისათვის. ახლახან, გერმანიაში ყოფნის დროს, გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის წინაშე ერთ-ერთ საკითხად დავსვით ზოგიერთი ქართველი მწვრთნელის იქაურ კლუბებში სტაჟირებაზე გაგზავნა. ამ თემაზე მიმოწერა გვაქვს ინგლისელებთანაც...

— როგორ შეაფასებთ გუნდების საწვრთნელი ბაზებისა და სტადიონების დღევანდელ მდგომარეობას?

— სტადიონების მდგომარეობა უმეტესწილად არასახარბიელოა! თუ გვინდა ევროპულ ტურნირებში მონაწილეობის მიღება, ამ მდგომარეობაში მყოფ სარბიელზე თამაშები არ უნდა გაიმართოს. ლოგიკა მარტივია — საერთაშორისო მატჩებისათვის ყოველმხრივ მზად უნდა ვიყოთ. როდესაც ეროვნული სტადიონიც კი ასეთ დღეშია, დანარჩენებზე რაღა უნდა ვთქვათ?...

— ალბათ, ცალკე საუბრის თემაა მწვრთნელთა ერთი ნაწილის „კულტურა“ და „კორექტულობა“...

— ფიფას და უეფას წევრი ქვეყნის მწვრთნელს არა აქვს თვითნებობისა და ლანძღვის უფლება. მწვრთნელები ჩვენთან ყველაფერს მსაჯებს, ფედერაციასა და პოლიციას აბრალებენ. მწვრთნელი არ მინახავს, რომ პატიოსნად აღიაროს მეტოქის უპირატესობა. არის მსაჯებისათვის ფულის „ჩადების“ მცდელობა...

— რა ღონისძიებების განხორციელება მიგაჩნიათ აუცილებლად ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე დამკვიდრებული ათასგვარი უმსგავსოების აღსაკვეთად?

— უკვე 5-6 წელია ფიფას აქცენტი გადატანილი აქვს სტადიონებზე წესრიგის დამყარებისაკენ და დაწესებულია სპეციალური პრიზი — „ფეირპლეი“, რომელიც გადაეცემა სამართლიანი თამაშით გამორჩეულ ცალკეულ ფეხბურთელებსა და ამა თუ იმ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას. წლევანდელ ზაფხულში, ფიფას კონგრესზე ეს პრიზი გადაეცათ ბრაზილიელ ჟორჟინიოს და ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციას.

ალბათ მიაქციეთ ყურადღება, რომ ეროვნულ სტადიონზე აღიმართა „ფეირპლეის“ დროშა, ხოლო გაზეთ „ქართული ფეხბურთის“ პირველ გვერდზე რეგულარულად იბეჭდება შესაბამისი ემბლემა.

ჩვენს სტადიონებზე ყოველგვარი სიბინძურის აღსაკვეთად და სამართლიანი თამაშის დასამკვიდრებლად საქართველოს ავღანელთა კავშირმა და ფეხბურთის ფედერაციამ დავაწესეთ ფულადი პრიზი 250 000 მანეთის ოდენობით, რომელსაც სეზონის შემდეგ მიიღებს ამ მხრივ რესპუბლიკის ყველაზე სამაგალითო კლუბი...

ყველას გასაგონად ვაცხადებ: ქვეყნის მძიმე სოციალურ-პოლიტიკური ვითარების მიუხედავად, ფედერაცია ყველანაირად ეცდება მეოთხე ეროვნული ჩემპიონატი ბოლომდე მიიყვანოს... ერთი წელი არ უნდა დავკარგოთ.

— რას გვეტყვით უახლოესი პერსპექტივის შესახებ?

— 21 დეკემბერს კვიპროსის ფეხბურთის ფედერაციის მიწვევით საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდი ერთი კვირით მიემგზავრება ამ ქვეყანაში, სადაც 3 ამხანაგურ მატჩს გამართავს: 22-ში ეროვნულ ნაკრებთან, 24-ში „ოლიმპიაკოსთან“, რომელსაც დავით ყიფიანიავარჯიშებს, და 27-ში — „ანორთოსისთან“, სადაც მწვრთნელად მუშაობს ვლადიმერ გუცაევი.

ვცდილობთ, რომ, მიუხედავად მრავალგვარი შეზღუდვებისა, რამდენიმე ჩვენი გუნდი თებერვალში საწვრთნელ შეკრებებზე გავგზავნოთ კვიპროსში.

ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრე მარტის შუა რიცხვებში დაიწყება. ეროვნული თასის გათამაშების ფინალური მატჩი, ტრადიციულად 26 მაისს უნდა გაიმართოს.

— დიდი მადლობა საუბრისათვის. გისურვებთ წარმატებებს.

ესაუბრა
გია პლატონიშვილი.

განგაშის ზარი!

ბეგლარ ჩხაიძე

გადავარჩინოთ ჭირნახული!

⊙ არ ჩანს მყიდველი, ტრანსპორტი, საწვავი ⊙ საკონსერვო ქარხნები უარს ამბობენ ციტრუსების გადამუშავებაზე ⊙ მოსავალი ლპება

წლეულს ოზურგეთელ მეციტრუსეებს მეტად მძიმე პირობებში უხდებათ შრომა. ნაზამთრალ, მოყინულ და ტოტებდამტვრეულ ბაღებში გაძნელდა უხვი მოსავლის მოწევა. შარშანდელთან შედარებით წლეულს ნაკლებია მსხმოიარობა. შემოწმების დღეს მთელს რაიონში მხოლოდ 500 ტონამდე ნაყოფი იყო დამზადებული. დანიშნულებისამებრ კი არც ერთი კილოგრამი არ იყო გაგზავნილი!

პირველად ციტრუსოვანთა ყველაზე დიდ დამამზადებელს — ნატანების აგროფირმას ვეწვიეთ.

— რატომ არ იკრიფება ციტრუსი? — შევეკითხეთ მასპინძლებს.

— მეციტრუსეებს იმედი არ აქვთ, რომ მათ მიერ დამზადებულ ნაყოფს მივიღებთ და გადავამუშავებთ. ხედავენ, რომ ყოველნაირად ხელი გვეშლება მუშაობაში და არც მომხმარებელი გვყავს ისეთი, რომ თავისი ტრანსპორტით წაიღოს ციტრუსი. რკინიგზამ ხომ საერთოდ ხელი დაიბანა. გვეუბნებიან, ვაგონ-სექციები თქვენ თვითონ იშოვეთო.

ახლა ნატანებელი მეციტრუსეები საგონებელში არიან ჩავარდნილნი: მოსკოვის, ჩელიაბინსკისა და დონეცკის სავაჭრო ორგანიზაციებს, ხელშეკრულებით, ადგილზე უნდა მიეღოთ ციტრუსი, მაგრამ უარი განაცხადეს. შემოთვალეს, ვაგონებს ვერ ვშოულობთო. ყველაზე დიდი გაჭირვება კი მაინც ის არის, რომ რუსეთის ბანკები ფულის გადმორიცხვას კრძალავენ. ნაღდ ანგარიშზე ციტრუსოვანთა ნაყოფის შესყიდვა კი მთელ რიგ სირთულეებთან არის დაკავშირებული. როგორი საქმეა, ათობით მილიონი მანეთი „ჯიბით“ ატაროს კაცმა.

საკითხავი ისიც არის, რომ საქართველოს რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებსა და ქალაქებში ყოველ სეზონში ასეული ტონობით ციტრუსი გაჰქონდათ, ახლა კი რატომღაც არავინ ჩანს, [illegible] იგონება საქართველოში სავაჭრო ორგანიზაციები აღარ მუშაობენო. ამასთან, ბევრ კოლმეურნეობასა და მეურნეობაში კი მოსავლის აღებას სრულებით არ ჩქარობენ. მაგალითად, სოფელ კონ[illegible]ქათის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე — მ. ქვილორია, აგრონომი — თ. არომიძე), შემოწმების დღეს ციტრუსების კრეფა ჯერაც არ ჰქონდათ დაწყებული.

არც სოფელ ოლობილის კოლმეურნეობაში, (თავმჯდომარე — თემურ ხურციძე) ჩქარობენ. არ იგრძნობა, რომ ახლა აქ ციტრუსოვანთა მოსავლის აღება მიმდინარეობს. 15 საათზე ვეწვიეთ მათს შემფუთავ ქარხანას, რომელიც დაკეტილი იყო. თუმცა ღიაც რომ ყოფილიყო მაინც არაფერი გამოვიდოდა, რადგან ამ კაპიტალური ნაგებობის სახურავი ციტრუსების გადამმუშავებელ დანადგარებზე იყო დამხობილი, ახლა კაცმა არ იცის, ციტრუსები სად უნდა მიიღონ, ან სად უნდა გადაამუშაონ.

იგივე მოხდა სოფელ ჯუმათის კოლმეურნეობაშიც (თავმჯდომარე — ტარიელ ჩხარტიშვილი). აქ თოვლმა ციტრუსების შემფუთავი ქარხანა დაანგრია, რომლის აღდგენაზეც არავის უზრუნია.

და კიდევ ერთი არასასიამოვნო ფაქტი: სპეციალისტების აზრით, წლევანდელ მოსავალში დიდი რაოდენობით არის არასტანდარტული ნაყოფი. რაიონის საკონსერვო ქარხნები კი ციტრუსის გადამუშავებაზე უარს აცხადებენ. ისინი შაქრის უქონლობას იმიზეზებენ. „ავიენები“ კი ამბობენ, მეკონსერვეები უფრო სარფიანი საქმით არიან დაკავებულნიო. ყველა გაჭირვებას ისიც ემატება, წამლად რომ გინდოდეს, რაიონში ბენზინს ვერ იშოვი. კანტი-კუნტად შემოაქვთ იგი საეჭვო პირებს და ლიტრს 200 მანეთად ჰყიდიან, ჰყიდიან ღამით, ბნელ კუთხეებში.

ბოლოს და ბოლოს, ვინ მიხედავს ამ მეტად საშურ საქმეს? აშკარა საფრთხეშია ციტრუსის აღების, გადამუშავებისა და გაგზავნის ბედი. ნუ დაგვავიწყდება, რომ იგი მალფუჭადია, ვიხსნათ დალპობისაგან წვითა და დაგვით მოყვანილი ჭირნახული. ამას მოითხოვს დღევანდელი საქართველოს სნეული ეკონომიკა და საზოგადოების ინტერესები.

ჩვენი მთა-ბარის ამბები

შეგარგოთ მჭადი და ლობიო!

თერჯოლის რაიონის მშრომელებმა აფხაზეთში გაგზავნეს ხუთი ტონა მჭადის ფქვილი, 500 კილოგრამი ლობიო და ნახევარი მილიონი მანეთის საკონსერვო ნაწარმი.

ისინი დახმარებას უწევენ ლტოლვილებსაც. რომელთა რაოდენობა თერჯოლაში 800-ს აღემატება.

მატარებელი ლიანდაგს ასცდა

16 დეკემბერს დილის 8 საათზე ხარაგაულიდან ხაშურისაკენ მიმავალი სატვირთო მატარებლის შემადგენლობა სოფელ სალანძილეთთან ლიანდაგს ასცდა, ერთი ვაგონი იქვე გადაბრუნდა, შვიდი კი რელსებიდან ამოვარდა.

10 საათი შეწყდა მოძრაობა რკინიგზის ამ მონაკვეთზე. ხაშურისა და ხარაგაულის რკინიგზის სამსახურებმა მთელი დღე იმუშავეს ვაგონების ამოღებისა და დაზიანებული ლიანდაგის შესაკეთებლად. საღამოს ექვს საათზე მოძრაობა განახლდა.

მიმდინარეობს ძიება ავარიის მიზეზის დასადგენად.

ჰენრი შარიქაძე.

გმადლობთ, ქალბატონო ლუდმილა!

რედაქციაში აკადემიკოს ირაკლი გვერდწითელის სახელობის სტაბილური იზოტოპების ინსტიტუტის თანამშრომელთა წერილი მივიღეთ. ისინი გვთხოვენ მადლობა გადავუხადოთ აწ გარდაცვლილი აკადემიკოს ირაკლი გვერდწითელის მეუღლეს ქალბატონ ლუდმილას, რომელმაც ინსტიტუტს საჩუქრად გადასცა ბატონ ირაკლის უმდიდრესი სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკა — 800-ზე მეტი დასახელების სამეცნიერო წიგნები, მონოგრაფიები და ჟურნალები. ეს სამეცნიერო ლიტერატურა უთუოდ დიდ სარგებლობას მოუტანს ინსტიტუტის მეცნიერებსა და ტექნიკურ პერსონალს.

ერთად ვიმუშაოთ

METECHI PALACE HOTEL

დევიზით „ერთად ვიმუშაოთ ადამიანთა ტანჯვის შემსუბუქებისათვის“ თბილისის „მეტეხის“ სასტუმროში მიმდინარეობს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის კავკასიის რეგიონალური კონფერენცია, მასში მონაწილეობენ სომხეთის წითელი ჯვრის, აზერბაიჯანის წითელი ნახევარმთვარის, საქართველოს წითელი ჯვრის, რუსეთის წითელი ჯვრის, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენლები.

კონფერენცია მოისმენს და განიხილავს ანგარიშებს საზოგადოებათა საქმიანობის შესახებ, დაამტკიცებს ადამიანის ტანჯვის შესამსუბუქებლად საერთო ღონისძიებების განხორციელებისათვის მოქმედების გეგმას.

* * *

სურათზე: კონფერენციის მონაწილეთა ჯგუფი: რუსეთის წითელი ჯვრის თავმჯდომარე ო. ხიდოროვი, აზერბაიჯანის წითელი ნახევარმთვარის თავმჯდომარე ა. ახმედოვი, საქართველოს წითელი ჯვრის თავმჯდომარე ნ. ცქიტიშვილი და სომხეთის წითელი ჯვრის თავმჯდომარე ა. სარქისიანი.

იოსებ დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ბოროტი საქმე ყოველი...

- **თბილისში** პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს ორჯერ ნასამართლევი ირაკლი თათრიშვილი და ნოდარ ტაბატაძე, რომლებმაც გიორგი ფაიქიძის ბინა გაქურდეს.
- **დედაქალაქში** დაუდგენელმა ბოროტმოქმედებმა იოსებ ლაზარაშვილის ბინა გაქურდეს და წაიღეს 140000 მანეთი ფული.
- **ზუგდიდში** დაუდგენელმა ბოროტმოქმედმა შეაღწია ჩაის ფაბრიკის დაუცველ საწყობში და 8 ტონა ჩაის მზა პროდუქცია გაიტაცა.
- **რუსთავში** პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს უმუშევარი ევგენი გარკავიკი, რომელმაც დანით მოკლა არტურ პროკოფიევი.
- **გარდაბნის** რაიონის სოფელ შინდისში მცხოვრებ გულნარა მირზაშვილს თავს დაესხა 4 დაუდგენელი ბოროტმოქმედი, მათ იარაღის მუქარით გაიტაცეს ოქროს სამკაულები და 25000 მანეთი ფული.
- **სამტრედიაში** სამმა დაუდგენელმა ბოროტმოქმედმა იარაღის მუქარით წაართვა გურამ ჩემიას მსუბუქი ავტომანქანა.

ცხონება

დიმიტრი ჭანტურიშვილი

მოულოდნელად წავიდა ჩვენგან პროფესორი **დიმიტრი ჭანტურიშვილი**, — დიდად ერუდირებული ლინგვისტი, წავიდა და დაგვიტოვა განუზომელი გულისტკივილი.

ბატონი დიმიტრი ტრადიციულ ინტელიგენტურ ოჯახში აღიზარდა. მთელი მისი ცხოვრება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან იყო დაკავშირებული. აქ სწავლობდა იგი 1935-1938 წლებში, გაიარა ასპირანტურის კურსი, დაიწყო პედაგოგიური საქმიანობა. აქვე დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. 1962 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა რუსული ენის № 1 კათედრის, ჯერ დოცენტად, ხოლო შემდგომ პროფესორად.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ღვაწლი, რომელიც ბატონმა დიმიტრიმ დასდო რუსისტიკის განვითარებას და შესაბამისი კადრების აღზრდას ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

გასაოცარი იყო ბატონი დიმიტრის შრომისმოყვარეობა. უაღრესად დიდი წვლილი შეიტანა მან ქართულ-რუსული ენების შეპირისპირებით კვლევაში. მისი მრავალი ნაშრომიდან უმეტესი სწორედ ამ საკითხს ეძღვნება.

სულით ხორცამდე ქართველი, ბატონი დიმიტრი მისწრაფოდა რუსული კულტურა მისაწვდომი გაეხადა ჩვენი ახალგაზრდობისთვის. ამიტომ ცდილობდა გაეიოლებინა რუსული ენის შესწავლა.

ბატონი დიმიტრი დიდი ხალისით უზიარებდა ყველას თავის ენციკლოპედიურ ცოდნას. უაღრესად ყურადღებიანი იყო როგორც კოლეგა და ამხანაგი, უშუალო — სტუდენტებთან ურთიერთობაში.

საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრო; თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ფილოლოგიის ფაკულტეტი; რუსული ენის კათედრები.

ეჰეი, ქართველნო!

გნებავთ მოახლოებული შობა-ახალი წელი მიულოცოთ თქვენს საყვარელ ესტრადისა თუ კინოს ვარსკვლავებს, მსახიობებს, რეჟისორებსა და საერთოდ ყველა ხელოვანს, ვინც ალამაზებს ჩვენს დუხჭირ ყოფას და სიძნელეების გადატანაში გვეხმარება?

ამისთვის მიმართეთ გაზეთ „ეკრანის“ რედაქციას. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ თქვენი მილოცვა დიდ სიამოვნებას მიანიჭებს ადრესატებს, თქვენ კი ეგ სიამოვნება მათთვის მისართმევ ერთ ყვავილზე იაფი დაგიჯდებათ.

მაშ ასე, გელით „ეკრანი“!
ჩვენი მისამართია: კოსტავას ქ. № 14, ტელ: 99-66-72.

გაცნობებთ, რომ 1992 წლის 21 დეკემბრიდან 1993 წლის 3 იანვრამდე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს ვიზებისა და პასპორტების განყოფილება დროებით წყვეტს მუშაობას.

გერმანიის საელჩო.

1992 წლის 23 დეკემბერს 11 საათზე საქტრანსპროექტის სააქტო დარბაზში (დავით აღმაშენებლის გამზირი № 154) გაიმართება საქართველოს ინჟინერ გეოლოგთა კავშირის დამფუძნებელი ყრილობა.

საორგანიზაციო კომიტეტი.

რადიო „თავისუფლება“ (მიუნხენიდან)

GOULNARA K. OURATADZE
Director
Georgian Service
Radio Liberty

RADIO FREE EUROPE
RADIO LIBERTY

RFE/RL, INCORPORATED
OETTINGENSTR. 67 AM ENGLISCHEN GARTEN
8000 MUNICH 22, WEST GERMANY
TELEPHONE (089) 2102-2266
TELEFAX (089) 2285188
TELEX 523 228/523 904

ჩვენი გადაცემების მოსმენა შეიძლება ყოველდღე, თბილისის დროით, 19-დან 20 საათამდე: 19 და 25 მეტრის ტალღებზე, ანუ 15170, 15840, 11825 და 11875 კილოჰერცის დიაპაზონში;

21-დან 22 საათამდე: 25, 31 და 41 მეტრის ტალღებზე, ანუ 11875, 9540, 9595 და 7255 კილოჰერცის დიაპაზონში;

და დილის 6 ს. და 30 წუთიდან 7 ს. და 30 წუთამდე: 25, 31 და 41 მეტრის ტალღებზე, ანუ 11725, 11875, 9595, 9650 და 7180 კილოჰერცის დიაპაზონში.

რუსეთის ცენტრალური ბანკის ცნობა

1992 წლის 16 დეკემბრიდან დადგენილია უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი რუსეთის ფედერაციის მანეთის მიმართ:

1 ავსტრალიური დოლარი	287 მან.	06 კაპ.
1 ავსტრიული შილინგი	37 მან.	90 კაპ.
1 ინგლისური გირვანქა სტერლინგი	652 მან.	71 კაპ.
10 ბელგიური ფრანკი	128 მან.	20 კაპ.
1 გერმანული მარკა	265 მან.	70 კაპ.
1 ჰოლანდიური გულდენი	236 მან.	29 კაპ.
1 დანიური კრონა	68 მან.	98 კაპ.
100 იტალიური ლირა	29 მან.	99 კაპ.
1 კანადური დოლარი	328 მან.	05 კაპ.
1 ნორვეგიული კრონა	61 მან.	66 კაპ.
1 ამერიკული დოლარი	418 მან.	00 კაპ.
1 ფინური მარკა	82 მან.	21 კაპ.
1 ფრანგული ფრანკი	77 მან.	97 კაპ.
1 შვედური კრონა	61 მან.	52 კაპ.
1 შვეიცარიული ფრანკი	295 მან.	82 კაპ.
10 იაპონური იენი	33 მან.	76 კაპ.
1 ეკიუ	521 მან.	25 კაპ.
10 ესპანური პესეტა	37 მან.	85 კაპ.
10 ბერძნული დრაჰმა	20 მან.	11 კაპ.
1 ირლანდიური გირვანქა	698 მან.	66 კაპ.
1 ისლანდიური კრონა	6 მან.	66 კაპ.
1 ქუვეითური დინარი	1395 მან.	11 კაპ.
10 ლიბანური გირვანქა	2 მან.	26 კაპ.
10 პორტუგალიური ესკუდო	28 მან.	81 კაპ.
1 სინგაპურული დოლარი	255 მან.	98 კაპ.
10 თურქული ლირა	0 მან.	50 კაპ.
1 ამერიკული დოლარი ინდოეთთან 1993 წლის ანგარიშსწორების მიხედვით	418 მან.	00 კაპ.

საერთაშორისო ოპერაციების სამმართველო.

მთავარი რედაქტორი **ზურაბ გოგიაშვილი.**

○ მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
○ ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 1488.

შეკვეთა 66434